645 / 1961/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

№ 12 დეკემბერი 1961 წ.



მ. ვ. ლომონოსოვი
(დაბადებიდან 250 წლისთავის გამო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ყოფაცხოვრებაში ქალის არათანასწორი მდგომარეობის ნაშთები, შეიქმნას ყველა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობა, რათა ბედნიერი დედობა შეხამებული იყოს ქალების სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებითს მონაწილეობასთან საზოგადოებრივ შრომასა და საზოგადო მოღვაწეობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში.**

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან).

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი






ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის შემდეგ

# სკკპ პროგრამა ითვალისწინებს

ჩვენი საუბარი იმაზე, რაც ოცი წლის შემდეგ იქნება, ათას ცხრაას სამოცდა ერთი წლის დასასრულს იწყება. თუ ჩვენი ჟურნალის მოყვარული ხართ, დაიხსომეთ ეს რიცხვი, მკითხველო. გავა დრო, ბევრი რამ შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში. თქვენ ალბათ ოცი წლის შემდეგაც გადაფურცლავთ ჟურნალის გვერდებს. იქ თქვენ სულ სხვა ადამიანებს ნახავთ, ისეთებს, როგორიც თქვენაც იქნებით მაშინ და გთხოვთ მოიგონოთ აი ეს, დღევანდელი ფურცლები, მაშინ უკვე გაყვითლებული და დროდაკრული.

ათას ცხრაას სამოცდა ერთი წელი ილევა. ჩვენს წინ არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. ჩვენ ვსწავლობთ იქ დასმულ ყოველ ამოცანას, ვეცნობით პერსპექტივებს, რომლებიც განხორციელდება უახლოეს ოც წელიწადში, შეიძლება უფრო ადრეც. ჩვენთან ხომ ყოველთვის ვადაზე ადრე უყვართ ადამიანებს გააკეთონ ის, რაც სულით და გულით უნდათ. ჩვენთან ხომ ხუთწლედები სრულდებოდა სამ-ოთხ წელიწადში.

ეს ოცწლიდი, რომელიც პარტიამ დაგვისახა, ალბათ მოვა უფრო ადრე და ვინც ამ წლებს დააჩქარებს, ისინი, სწორედ ისინი ნახავენ გიგანტებს, სიუხვეს, კეთილდღეობას...

ჩვენო დედებო და დებო! თუ თქვენ სოფელში ცხოვრობთ, ოცი წლის შემდეგ იგი გადაიქცევა ქალაქის ტიპის გამსხვილებულ დასახლებულ პუნქტად, სადაც იქნება კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კომუნალური მომსახურება, საყოფაცხოვრებო საწარმოები, კულტურული და სამედიცინო დაწესებულებანი. კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ სოფლის მოსახლეობა გაუთანასწორდება ქალაქის მოსახლეობას.

ამას შექმნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების განვითარება და მათში საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა. შრომის მაღალი ნაყოფიერების მეოხებით ყველა კოლმეურნეობა ეკონომიურად მძლავრი გახდება და კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე. კოლმეურნეთა ოჯახები ისარგებლებენ სასადილოების, პურის საცხობების, სამრეცხაოების, საბავშვო ბაგე-





ბისა და ბაღების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სტადიონების მომსახურებით.

კოლმეურნეობის წევრები მიიღებენ ყველა სახეობის სოციალურ უზრუნველყოფას (პენსია, შვებულება და სხვა) საკოლმეურნეო და სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ისეთი გახდება, როგორც საერთო-სახალხო საწარმოებში.

დღეს იქნებ შენ ფერმაში მუშაობ. საღამოს, როცა შინ ბრუნდები, დასაჯდომად არ გცალია და სადილის თადარიგს იჭერ. ასე გალამდება საქმიანობაში და მეუღლის თხოვნაზე, დაესწროთ კლუბში წარმოდგენას, უარს ამბობ.

ოცი წლის შემდეგ კი შენი ტოლები ფერმიდან რომ დაბრუნდებიან, მეუღლესთან ერთად შევლენ სასადილოში, სადაც შეღავათიან ფასებში კარგი კულინარის მიერ მომზადებულ გემრიელ კერძებს მიირთმევენ. მერე შეიძლება შინ არც გაუხვიონ, ისე წავიდნენ სტადიონზე—თავიანთი და მეზობელი სოფლის ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩზე დასასწრებლად.

შენ კი შეიძლება კოლმეურნეობაში ველარ იარო, წლებმა თავისი ქნას და პენსიაზე გახვიდე. ცხოვრება უზრუნველყოფილი გექნება და ოჯახში ფუსფუსი მოწყენილობას ცოტათი გაგიფანტავს.

ოცი წლის შემდეგ ხალხის შემოსავლის ზრდის შესაბამისად სწრაფად ამაღლდება სახალხო მოხმარების საერთო დონე. მთლიანად დაკმაყოფილდება მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან კვების პროდუქტებზე (ხორცზე, ცხიმზე, რძის ნაწარმზე, ხილზე, ბოსტნეულზე). მოსახლეობას ექნება კარგი ხარისხის ლამაზი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო საგნები, თანამედროვე, მოხერხებული ავეჯი, ავტომანქანები.

მაშინ ჩვენი დიასახლისები ოჯახებს მოაწყობენ ლამაზად და სადად; დედები შვილებისათვის შეიძენენ ისეთ ჩასაცმელს, როგორიც მოესურვებათ!

უახლოესი ათი წლის განმავლობაში განხორციელდება გადასვლა ექვსსაათიან სამუშაო დღეზე კვირაში ერთი დასასვენებელი დღით ან 34-36-საათიან სამუშაო კვირაზე ორი დასასვენებელი დღით.

მაშინ ქალიშვილებს თუ ოჯახის დედებს სამუშაოს შემდეგ დარჩებათ იმდენი თავისუფალი დრო, რომ მოასწრებენ როგორც კულტურულ დასვენებას, ასევე თავიანთი ცოდნის ამაღლებას.

ოცი წლის შემდეგ მთლიანად გადაიჭრება საბინაო საკითხი. საბჭოთა ადამიანები იცხოვრებენ კეთილმოწყობილ ბინებში. ახალშეუღლებულები კი? არც ახალშეუღლებულები იქნებიან დავიწყებულნი.

სადღა იქნება სოფლად ძველი ტიპის გლეხური სახლები! ისინი ახალი, თანამედროვე სახლებით შეიცვლება.

რამდენად გაადვილდება ქალთა შრომა კეთილმოწყობილ ბინაში, სადაც დაცული იქნება ჰიგიენური და კულტურული ცხოვრების პირობები!

მთლიანად დაკმაყოფილდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე. ეს ამოცანა გადაიჭრება სამედიცინო დაწესებულებების, მათ შორის საავადმყოფოებისა და სანატორიუმების ქსელის გაფართოებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა (სამშობიარო სახლები, კონსულტაციები, ბავშვთა სანატორიუმები) სიმრავლეს. ავადმყოფთათვის უფასო იქნება როგორც სანატორიუმებით სარგებლობა, ასევე მედიკამენტები.

დასასვენებლად მოისურვებთ გასვლას? თქვენი ოჯახებისთვის იქნება აშენებული დასასვენებელი სახლები. იქნებ ქალაქთან ახლოს მოგესურვათ ყოფნა? მაშინ ქალაქგარეთ აგებული სასტუმროებით და პანსიონატებით ისარგებლებთ. ეს ხელმისაწვდომიც იქნება თქვენთვის. საგზურს კი ან პრემიის სახით მიიღებთ ან სულ უფასოდ, ანდა შეღავათიან ფასებში.

პარტიის პროგრამაში გათვალისწინებულია, რომ ქალებს მიეცეთ შედარებით მსუბუქი და ამავე დროს საკმაო ხელფასიანი სამუშაოები, გაიზარდოს შვებულების ხანგრძლივობა ორსულობის დროს. ბედნიერი დედობა შეხამებული იქნება ქალების სულ უფრო აქტიურ და შემოქმედებით მოღვაწეობასთან სამეურნეო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე.

ამის მისაღწევად საჭიროა ოჯახში ქალის შრომის შემცირება და შემსუბუქება, ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილება საზოგადოებრივი ფორმებით. ჩვენი ქალების განკარგულებაში იქნება ყველა სახის საყოფაცხოვრებო მანქანები, ხელსაწყოები, ელექტროხელსაწყოები, რომ დაიზოგოს მათი შრომა. მათ ისე დაეხმარება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, რომ ვერც წარმოიდგენენ მათ გარეშე არსებობას. სადილებს? სადილებს კი შინ აღარ გააკეთებთ, მეგობრებო. როცა სასადილოს კერძები უფრო გემრიელი და იაფი იქნება, ვიდრე ამას სახლში მოახერხებთ, რაღად გაიწვალებთ თავს?

საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასების შემცირება წინ გაუსწრებს სურსათის ფასების შემცირებას სავაჭრო ქსელში, შედეგადაც საზოგადოებრივი კვება უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში უპირატეს ადგილს დაიკავებს ოჯახურ პირობებში კვებასთან შედარებით.

მეორე ათწლეულში უფასო იქნება საზოგადოებრივი კვება საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ჩვენი დედების მთავარი საზრუნავი ბავშვის აღზრდაა. ეს საზრუნავი შეუმსუბუქდებათ ქალებს, როცა მეორე ათწლეულში თვითეულ ოჯახს შესაძლებლობა ექნება უფასოდ ჰყავდეს ბავშვები და მოზარდები საბავშვო დაწესებულებებში.

უფასო იქნება ბავშვების დასვენება პიონერთა ბანაკებში, მათი შენახვა სკოლა-ინტერნატებში. სკოლებში ისინი უფასოდ მიიღებენ ცხელ საუზმეს, გახანგრძლივებულ დღიან სკოლებში კი — სადილს.

ყველაფერი ეს განხორციელდება მით უფრო მალე, რაც უფრო სწრაფად განვითარდებიან ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები და გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო ფართოდ გაიშლება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ენერგია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლოსაა დღე კომუნიზმისა

## დელეგატის შთაბეჭდილებიდან

ახალგაზრდა ხარ, სულ ახალგაზრდა. დიდი, კეთილი თვალები გაქვს და შრომაში გაწაფული ხელები. თითქოს ჯერ კიდევ პატარა უნდა იყოს შენი ბიოგრაფია: განა იმდენი რა გაიარე ცხოვრების გზაზე?

მაგრამ, შეცდება ვინც ასე იფიქრებს: შენ საბჭოთა ახალგაზრდა ხარ, ერთი მათგანი ჩვენი საამაყო თაობისა. ამიტომ შენი ცხოვრება სამშობლოს მაჯისცემასაა ადევნებული, მასავით მდიდარია, სისხლსავსე...

იქნებ სწორედ ამას ფიქრობდი მატარებლის სარკმელს მიყრდნობილი. მიჰქროდნენ ოქტომბრის მზით აელვარებული ვრცელი მინდვრები, ქალიშვილებივით გამორბოდნენ მატარებლის შესახვედრად კოპწია არყები. ოქროსფერი შემოდგომა ნებივრობდა ტრამალებზე...

შენი გული, შენი თვალი, მთელი შენი არსება ყურადღებადაა გადაქცეული. ჯერ კიდევ გზაზე გინდა ყველაფერი შენიშნო, გაიგონო, დაიმახსოვრო. ეს გზა სამშობლოს გულისაკენ მიგაქროლებს, იქ, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობაზე. არა, პატარა არ არის შენი ბიოგრაფია! — შენ ზევით, ამაყად ასწევ ხელს და მიიღებ პარტიის ახალ, რიგით მესამე პროგრამას, კომუნიზმის აშენების პროგრამას. ამიტომ გამოგაცილეს შენი ბრიგადის წევრებმა: ზეინკლებმა ლილი გიგაიამ და ელპიდე პაიანიდმა, ელექტროშემდუღებელმა გიორგი კარკოსაშვილმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელოვანმა ბრიგადირმა ზაურ რუსიამ. მან მაგრად, მაგრად ჩამოგართვა გამომშვიდობებისას ხელი და თითქმის უხმოდ გითხრა:

— შენი იმედი გვაქვს, ოსტატო!

ქალიშვილებმა კი სეტყვასავით დაგაყარეს მრავალი დავალება. ყველას უნდოდა მათი თვალით გენახა მოსკოვი, ამდენი სახელოვანი ადამიანი ერთად თავმოყრილი, ტაში დაგეკრა გამარჯვებულთა ყრილობისათვის.

— შენ იცი, ნელი! არაფერი დაივიწყო, ყველაფერი დაწვრილებით გვიამბე, ყველაფერი!

— მოიწერე წერილები!

და ბაქანზე, ახალგაზრდებს შორის ჩამდგარიყო ჭაღარა დედა, ცრემლით დანამოდა თვალი. სიხარულის ცრემლი თუ იყო: მისი ერთა, ობლობაში გაზრდილი მისი გოგო დღეს ხალხისაგან, კოლექტივისაგან ასეა დაფასებული.

— ნახვამდის, ნელი, ნახვამდის, ნანა!..

...აჰა, სამშობლოს გული. ზღაპრული მოსკოვი! დიადი ყრილობის დღეებში საზეიმოდ მორთული. ყველგან, მოედნებსა და მეტროში, ქუჩებსა და ავტობუსებში ამ დიდ მოვლენაზე ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ მრავალ ენაზე. დილით, შემოდგომის ნაადრევი სუსხი ჯანმრთელად იჭრება ფილტვებში. მერე ამოდის მოსკოვური მზე და წითელ მოედანს ააფერადებს. კრემლის კოშკები თითქოს ოქროში ცურავენ. მაღალი, დიდი და მაინც მაქმანივით მსუბუქი ტაძარი ვასილი ნეტარისა თვალს იტაცებს. ნელი ყვავილებით მისულა მავზოლეუმთან.

გამარჯობა, მოსკოვო! აი, სწორედ ასეთად ჰყავდი წარმოდგენილი თბილისელ ქალიშვილს — ნელი ოდიშარიას: უზარმაზარი, უკიდეგანო და მაინც თბილი, მშობლიური.

ხვალ ნელი საქართველოს წარგზავნილებთან ერთად შეაღებს კრემლის ყრილობათა ახალი სასახლის კარებს. გული აუჩქროლდება, რა თქმა უნდა, აუჩქროლდება, მაგრამ ხელებით შეაკავებს აღელვებულ მკერდს. პრეზიდიუმისაკენ მიაპყრობს თვალებს, სადაც პარტიისა და მთავრობის გამოჩენილი მოღვაწენი სხედან. მერე უზარმაზარ დარბაზს გადაჰხედავს. ყველანი, ყველანი აქ არიან. უბრალო, პატიოსანი ადამიანები, მათი ხელები შრომითაა დაკოჟრილი. ამ ხელებით შენდება კომუნიზმი. „ჩვენმა თაობამ კომუნიზმში უნდა იცხოვროს!“ რა თბილად, რა ამაყად გაისმის ეს სიტყვები.

აი, ტრიბუნასთან, ტაშის გრიალში დგება ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. ნელიმ ხომ იგი ჯერ კიდევ თბილისში ნახა. ახლაც ისეთივეა, უბრალო, კეთილი. იგი ლაპარაკობს გატაცებით, სიმართლით, თითქოს ყველა მათგანის გულისნადები იცისო. ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენს სამშობლოში ორი ათწლეულის მანძილზე შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. რომ ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანა, მისი გენერალური ხაზის საფუძველი. რომ უნდა გადავაქციოთ შრომა სიხარულის, შთაგონებისა და შემოქმედების წყაროდ. უნდა განვავითაროთ მატერიალური დოვლათის წარმოება საბჭოთა ადამიანის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უზრუნველვყოთ მთელი მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე.

დარბაზი სუნთქვაშეკრული ისმენს კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, მტკიცე ლენინელის მოხსენებას. და სჯერა ნელის: ახლოსაა დღე ხვალინდელი, დღე კომუნიზმისა...

ყრილობის დელეგატმა, აჭარელმა მწველავმა ჟუჟუნა ვარშანიძემ თქვა მეგობრებთან: „როცა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მოხსენებას ვისმენდი, ჩემდაუნებურად ვიფიქრე, რომ დღევანდელი მიღწევები ხვალ საკმარისი არ იქნება. დავბრუნდები თუ არა, ახლებურად უნდა შევუდგე საქმეს“!...

სწორედ ასე ფიქრობდა ნელი ოდიშარიაც, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ საამწყობო საამქროს ცვლის ოსტატი. ნელის თვალწინ უდგას თავისი ქარხანა. იქ, კრწანისის ბაღებისაკენ, მწვანეში ჩაფლული დიდი შენობა. მის საამქროში ხდება ელექტროავტომატებისათვის საჭირო კერამიკული კონტაქტების კვანძებად შედუღება. ნელის ბრიგადა ამაყობს: მათი საქმიანობა ხომ მშობლიური მრეწველობის განვითარებას უწყობს ხელს! ახლაც, ამ წუთში ალბათ მისი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს პლასტმასის დეტალებზე დაუხრიათ თავი. მერე ზეინკალი ლილი გიგაია თავს აიღებს და ეშმაკურად ჩაუკრავს თვალს ნელის: „ნუ შიშობ, ოსტატო, საქმეს უშენოდაც ვერევით“. ბრიგადირი გურამ ჯახუტაშვილი კი ალბად შეუტევს გოგოებს: „მორჩით ხითხითს, საქმეს მიხედეთ“.

ამას ფიქრობს ნელი და თვალი ისევ ტრიბუნისაკენ აქვს მიპყრობილი. გამოდიან პატიოსანი, უბრალო საბჭოთა ადამიანები. ისინი ამბობენ თავის მართალ სიტყვას და ყველა გრძნობს: ეს არის სამშობლოსათვის ღირსსახსოვარი დღეები. ამ ვრცელი დარბაზიდან სამყაროს ედება სიტყვა გამარჯვებული ადამიანისა. აქ ეს სიტყვა მრავალ ენაზე ითარგმნება და მას ერთნაირად ისმენენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიურ ენაზე დელეგატები საქართველოდან, ტაჯიკეთიდან, სომხეთიდან, უზბეკეთიდან... ამ სიტყვას ისმენენ მშობლიურ ენაზე მრავალი შორეული ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლები. მათ ხომ სალამი ჩამოიტანეს თავისუფალი აფრიკიდან, რევოლუციური კუბიდან... აი, მაღალი, ქერა, მომღიმარე ქალი — ჟანეტა ვერმერში. იგი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია. შესვენებაზე ყრილობის დელეგატმა ქალებმა ჟანეტას გულზე სამახსოვრო ნიშანი დააბნიეს.

ტატიანა ჩხაიძე ხელს ჰკიდებს ნელის და კულუარებში გაჰყავს. ნელის უხარია, რომ ყრილობაზე ახალი მეგობარი შეიძინა — საქვეყნოდ ცნობილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი. მათ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი უახლოვდება: ქართველ მშრომელებს უნდათ პრესის საშუალებით მოისმინონ თავისი წარგზავნილების სიტყვა; ტატიანა დინჯად იღიმება. იგი ამბობს: ოცდამეორე ყრილობა კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის მანათობელი შუქურაა. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, რომელსაც დღეს ყველა ჩვენგანი განიცდის. თუ წელს სამშობლოს 13 ტონა ჩაი მივეცი თორმეტნახევარი ტონის ნაცვლად, მომავალ წელს გაცილებით მეტი უნდა მოვკრიფო.

კორესპონდენტი მადლობას უხდის ამ ენერგიულ ადამიანს და მიდის. ნელის კი სჯერა თავისი ახალი მეგობრისა.

და ასე მიდიან ეს ისტორიული დღეები, მღელვარებით, ხმაურით სავსე. სამყაროს ყურადღება ამ სასახლისაკენაა მიპყრობილი. აქ ნელისთან ერთად ისმენს, სიტყვას ამბობს, ღელავს და იცინის მეჩაიე ეთერ ჯიბუტი, მევენახე ივანე მესტვირიშვილი, ფეიქარი ვერა სობოლევა, აგრონომი ეთერ ჯაშიაშვილი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, პარტიის თიანეთის რაიკომის მდივანი მარო გონჯილაშვილი, მხატვარი უჩა ჯაფარიძე, მეავეჯე ელგუჯა ბადრიძე, მაღაროელი ივანე ბაიდოშვილი... საქართველოს სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ განიზრახა შექმნას ალბომი, რომელსაც „ოცდამეორე ყრილობის ქართველი დელეგატები“ ერქმევა. ამიტომ იგი თხოვს საქართველოდან წარგზავნილებს — ცოტა დრო დამითმეთო. მერე გამოცდილი ხელით ხატავს მათ ენერგიულ სახეებს, პატიოსან თვალებს...

თავისუფალ დროს ნელი და მისი მეგობრები მოსკოვის დათვალიერებას ანდომებენ. ისინი ტოვებენ სასტუმრო „უკრაინის“ კეთილმოწყობილ ბინებს და მოსკოვის ქუჩებს მიჰყვებიან. ჯერ კრემლის დათვალიერებას შეუდგნენ. აქ ყველა ეპოქას თავისი კვალი დაუტოვებია. აი, წახნაგოვანი პალატა, მიძინების, მთავარანგელოზისა და ხარების ტაძრები, კრემლის დიდი სასახლე. ისინი სხვადასხვა საუკუნეებში, სხვადასხვა არქიტექტურული ფორმითა და სტილით შექმნილან. მაგრამ, საოცარია, ყველა მათგანს ერთი ანსამბლი შეუდგენია... მეფე-ზარი და მეფე-ზარბაზანი საუკუნეებიდან შემოჰყურებენ მნახველებს, თითქოს ესაა, უნდა იქუხონ, მთელ ქვეყანას მოფინონ კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის ყიჟინა...



ნელი ოდიშარია (მარცხნიდან მეორე) ამხანაგებს უზიარებს ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს

იმ ღირსშესანიშნავ დღეებში მოსკოვის თეატრებმა ახალი დადგმები მიუძღვნეს ყრილობას. ნელისა და მის მეგობრებს ეამაყებოდათ, რომ სცენას მათი თანამემამულეების პიესებიც ამშვენებდნენ. რ. ებრალიძის პიესა: „თანამედროვე ტრაგედია“, კ. ბუაჩიძის „პროვინციელი ქალიშვილი“, გ. მდივნის „ტერეზას დაბადების დღე“. ნელი დაესწრო ამ დადგმებს და გულით გაიხარა, როცა მაყურებელმა მოწონების ტაშით დააჯილდოვა ქართველი დრამატურგები.

ყრილობამ მრავალ საკითხზე იმსჯელა. ნელიმ ბევრი რამ ჩაინიშნა თავის უბის წიგნაკში. რამდენი ერთი ჩაიწეროს თბილისელმა ქალიშვილმა, აქ ხომ ყველა წინადადება, რომელიც ყრილობის მსვლელობაში იქნა შემოტანილი, იყო მეტად საყურადღებო.

კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პერსპექტივები იშლებოდა მის წინ... მერე მორცხვად მიიკვლევდა გზას დელეგატთა შორის, ამდენ სახელოვან ადამიანთა შორის. ხედავდა, როგორ შემოხვეოდნენ გარს ფეიქარი ქალები ვალენტინა გაგანოვას. როგორ დაეძებდა ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მაია ჯელია თავიანთი ბრიგადის საპატიო წევრს — მსოფლიოში პირველ კოსმონავტს იური გაგარინს.

ნელის ესმოდა აკადემიკოსების კელდიშისა და მუსხელიშვილის საუბარი. ესმოდა, როგორ უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას რუსთაველი და სუმგაითელი მეფოლადეები. აი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ლეგენდარული სიდორ კოვპაკი! და ერთგან თბილისელი ქალიშვილი გაქვავებული შედგა! ნუთუ ის არის? — ასე ნაცნობი, ასე მშობლიური, სიცოცხლის წყურვილით სავსე სახე. რამდენი ღამე გაუთენებია ნელის წიგნზე, სადაც ამ კაცის გმირობაზეა მოთხრობილი. მასთან ერთად უხოხია თოვლიან ტყეში, მასთან ერთად მოუკუმავს ტუჩები მძიმე ოპერაციის დროს, და მერე... მასთან ერთად აჭრილა მშობლიურ ცაში! დიაღ, ის არის — საბჭოთა კავშირის გმირი ა. მარესიევი, ბორის პოლევოის ცნობილი წიგნის — „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე“ — გმირი. და ნელი სიყვარულით შესცქეროდა საყვარელი წიგნის ცოცხალ გმირს...

თბილისისაკენ გამომგზავრებული ქალიშვილი გულში იმეორებდა ყრილობაზე თქმულს: „მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ბოლშევიკური ენერგია კომუნიზმის გამარჯვების საქმეს!“ და ვერ ამჩნევდა — თვალს სიხარულის ცრემლი რომ მოსდგომოდა...

ისევ მშობლიური თბილისისაკენ, კოლექტივისაკენ, მეგობრებისაკენ, რომლებიც ცნობისმოყვარე თვალებით დახვდებიან... დედისაკენ, ვინც გულში ჩაიკრავს კარგახნის უნახავ შვილს.

და ისევ შრომა, მისი სიხარული, ისეთი შრომა, რომ შეხედონ მის ბრიგადას თქვან: „კომუნიზმის მშენებლობის საქმე საიმედო ხელშია!“

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმარი

იმ დღეს დედამ საგანგებოდ მომრთო. ჩამაცვა საგარეო ხალათი, ყელზე ვეებერთელა თეთრი ბაფთა გამიკეთა, დიდხანს მტკივნეულად მიქოჩრავდა თმას და მარიგებდა როგორ დამეჭირა თავი უცნობ დეიდასთან, რომელსაც იგი ასე მოუთმენლად ელოდა.

„ჩვენ ერთად ვსწავლობდით — ეუბნებოდა დედა მეზობლის ქალებს და ჩურჩულით უმატებდა — იცით, მისი ქმარი...“ აქ დედა ამბობდა რაღაც გრძელსა და გაუგებარ სიტყვებს.

საერთო აივანზე, სადაც თითქმის მთელი ჩვენი სართულის ქალები იყრიდნენ თავს, ყველა სხვადასხვანაირად ხვდებოდა ამ ამბავს: ზოგი შურით, ზოგი ცნობისმოყვარეობით, ზოგი კი ისე, უბრალოდ. ერთი კი ცხადი იყო: დედასთვის ეს სტუმრობა მეტად მნიშვნელოვანი იყო და იგი რატომღაც შეეხებოდა მამასაც. მე ვერ გამერკვია რა საქმე უნდა ჰქონოდათ იმ ვიღაც დეიდას ან მის ქმარს ჩემს ლამაზ, ღონიერ და ჭკვიან მამასთან, რომელიც ახლა კვლავ მივლინებაში იყო და, ვინ იცის, როდის დაბრუნდებოდა.

მოთმინებით ვიტანდი საძულველ ბაფთას, ვცდილობდი არ დამეჭმუჭნა იგი და აღელვებული ველოდებოდი სტუმარს. მამა რომ იყოს, არავინ გამიკეთებდა ყელზე ამ სულელურ ბაფთას, ჩავიცვამდი ჭრელ ხალათს, ისეთს, როგორიც მამას აცვია და ჩვენ, მე და მამა, ხელიხელჩაკიდებულნი გავსწევდით გარეთ, მზეში სასეირნოდ...

სტუმრის მოსვლა მანქანის საყვირმა გვამცნო. დედა სარკის წინ რამდენიმეჯერ შემოტრიალდა, თმები შეისწორა, სასწრაფოდ კარები გააღო და კიბეებზე დაეშვა.

ცოტა ხნის შემდეგ კიბეებზე ლაპარაკი და ფეხის ხმა გაისმა.

„ახ, საყვარელო, — ამბობდა უცნობი ხმა — ძლივს, ძლივს მოვიცალე. ვერ წარმოიდგენ რამდენი სტუმარი, რამდენი საქმე...“

მალე კარებში შემოვიდა იგი, ვისაც ასე ელოდა დედა. თავჩაღუნული ვიდექი და შუბლსქვემოდან ვხედავდი უსაზომოდ წვრილ ქუსლებზე შემდგარ მაღალ ფეხებს, ტანზე შემოსხეპილ ბრჭყვიალა კაბას და გრძელ თითებს, რომლებსაც სწორედ ჩემი თვალების გასწვრივ პაპიროსი ეჭირათ. მეორე ხელი სტუმარს ოქროსფერდალალებიანი გოგონასათვის ჩაევლო. გოგონა დედის კაბას ეფარებოდა და დიდი ლურჯი თვალებით მომჩერებოდა. სტუმარს თავი დავუკარი და ხელი გავუწოდე. სწორედ ამ დროს გრძელმა თითმა პაპიროსზე გაიწკაპუნა და ფერფლი ბაფთაზე შემომაყარა. უფროსებს არაფერი შეუმჩნევიათ, გოგონას კი თანაგრძნობისაგან თვალები უფრო ფართო და სევდიანი გაუხდა. ვიგრძენი, როგორ ამეწვა ლოყები. სტუმარს ავხედე, მისი სახე სანახევროდ დაეფარა ფართო ფარფლებიან შლიაპას. გამჭვირვალე, შავხალებიანი პირბადის იქით სისხლისფერი ტუჩები მოძრაობდნენ და განუწყვეტლივ აფრქვევდნენ სიტყვებს:

„ახ, საყვარელო, რა ლამაზი, რა თავაზიანი ბიჭია...“ — ამბობდა სტუმარი და ბრჭყვიალა, მოხდენილი როგორც ზღაპრული ქალთევზა, რხევით დადიოდა ოთახში, გრძელი თითებით ეხებოდა ხან ერთ, ხან მეორე ნივთს.

— სად იშოვეთ ეს გობელენი?

მინდოდა რაღაც უკმეხი მეთქვა ამ ქალთევზა დეიდასათვის, რომელმაც გაცნობისთანავე ფერფლი მომაყარა და ალბათ სრულებითაც არ ფიქრობდა, რომ მე მართლაც ლამაზი და თავაზიანი ვარ, მაგრამ თავი შევიკავე. ვგრძნობდი, რომ ეს ეწყინებოდა გოგონას, რომელიც ჩვენი ძველი, დიდი სავარძლის გვერდით განსაკუთრებით ლამაზი და უმწეო ჩანდა.

— დავით, წაიყვანე პატარა გოგო და ათამაშე.

„დავით“! რად დასჭირდა დედას ასეთი მომართვა? მე ყოველთვის დათოს მეძახდნენ...

გოგონას მივუახლოვდი და ხელი გავუწოდე. მან მძიმედ შეარხია ოქროსდალალებიანი თავი და თავისი პატარა, თბილი ხელი ხელში ჩამიდო. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ გოგონას დალალებში სხვადასხვა ფერის ბაფთები ჰქონდა ჩანასკვული. „ალბათ, როგორ უჭირს ამდენი ბაფთების მოვლა...“

— წავიდეთ, — ვუთხარი გოგონას — იქ, ჩემს ოთახში, ძველი სათამაშოები მაქვს.

გოგონამ გაიღიმა და მორჩილად ამედევნა.

— „ვერ წარმოიდგენ რა სერიოზული ბავშვია, — ეუბნებოდა დედა სტუმარს — მთლად მამას ჰგავს, მამას, მამას. მასავით თავნება, ჯიუტი...“

„ო, როგორ მენატრება მყუდროება, — ისმოდა სტუმრის ხმა — აი, ასეთი პატარა, მყუდრო ბინა. რა შესანიშნავი კოლოფია! ჩინურია არა? შენ კი, საყვარელო, სულ არ გამოცვლილხარ, ისევ ისეთი კოპწია, ისევ ისეთი მომხიბლავი...“

აქ რაღაც წაიჩურჩულეს და გადაიკისკისეს.

გოგონა სავარძელში ჩაჯდა. მან ფეხი ფეხზე გადაიდო, სწორედ ისე, როგორც დიდებმა იციან და მოწყენილი სახით ათვალიერებდა თავის პატარა ფეხს, რომელზედაც დასვრეტილი ლურჯი ფეხსაცმელი ეცვა.

კარადის უკან მოვძებნე ბანჯგვლიანი დათუნიები, გასლიპინებული გუტაფისის მელიები და მათ შორის რაღაც სასწაულით გადარჩენილი დედოფალა, რომელიც გულმავიწყმა ძია თედომ შეცდომით მომიტანა. დედოფალას ისეთივე დალალები და დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა, როგორც ჩემს სტუმარს. ისინი გაკვირვებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს. გოგონას თანდათან სახე გაუნათდა, მწყობრად მიჯრილი თაგვის კბილები გამოუჩნდა და გულიანი სიცილი აუტყდა. მეც გამეცინა

— შენი იყოს, — ვუთხარი მე, — თუ მოგწონს.

— მართლა? სულ ჩემი იყოს?

— სულ... ეს ისე, ძია თედომ მომიტანა, თორემ... დედოფალები გოგონების საქმეა.

გოგონამ დედოფალა მუხლებზე დაისვა, ფრთხილად არწევდა და ალერსით ეჩურჩულებოდა:

„ჩემო საბრალო დედოფალა, ეგ ცხვირი და ლოყები ვიღამ დაგიკაწრა?... უჰ, ეს საძაგლები, სულ ამ დათვებისა და მელაკუდების ბრალი იქნება! განა შეიძლება მაგათთან ცხოვრება?“...

დათვები და მელაკუდები ზოგი ჩაცუცქული, ზოგი გულაღმა აჩაჩხული, უსინდისო თვალებით იჭყიტებოდნენ. ცხადად წარმომიდგა, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო კარადის უკან მიტოვებული ოქროსდალალებიანი დედოფალასათვის მათთან ცხოვრება...

— მე რა... მე არც კი მახსოვდა. ეს ძია თედომ, თორემ...

— არაფერია, — მითხრა გოგონამ ლმობიერად, — ახლა ჩემს დედოფალებთან წავიყვან და ყველანი ერთად ვითამაშებთ...

— კარგი, წაიყვანე... მხოლოდ დათვები არ მიაკარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მას თათიას დავარქმევ, კარგი? ყველა ჩემს დედოფალას აქვს სახელი...

— კარგი, თათია დაარქვი, მხოლოდ დათვები და მელაკუდები...

— გულიკო! — მოისმა ამ დროს.

— ჰაუ...

— წავედით.

გოგონამ დედოფალა მკერდში ჩაიკრა, თითქოს ეშინია არავინ წამართვასო და კარებისაკენ გაეშურა. უცბად შემობრუნდა, დედოფალა ძირს დასვა, მერე დალალებიდან ყველაზე გრძელი ცისფერი ბაფთა მოიხსნა და გამომიწოდა.

— ეს შენ გქონდეს. მე ხომ არაფერი მიჩუქნია შენთვის...

ფრთხილად ჩამოვართვი ცისფერი ბაფთა. გოგონამ ერთხელ კიდევ გამოაჩინა თაგვის კბილები, დედოფალას ხელი დასტაცა და ოთახიდან გაიქცა.

— საყვარელო, — ისმოდა ღია კარებიდან — მაგ საქმეს აუცილებლად გავაკეთებ, ჩემი ქმარი, ხომ იცი...

— ჩემო კარგო, როგორ დამავალებ... გვეყო, ბოლოსდაბოლოს, სულ მთაში, სულ კლდეში და ღრეში. ხომ უნდა ვიცხოვროთ ადამიანურად?

ხელის გულზე მედო ცისფერი ბაფთა, რომელსაც თმის რამდენიმე ოქროსფერი ბეწვი გამოჰყოლოდა.

დედამ დამიძახა, მაგრამ მე არ გავედი.

— ოჰ, სულ მამამისია, ზედგამოჭრილი მამამისი...

— საყვარელო, რა მშვენიერი ბროლია! ჩეხურია, ხომ?“ —მომესმა უკანასკნელად სტუმრის ხმა.

მამის მოსვლა არ გამიგია. ღამით გამომეღვიძა და დავინახე: მაგიდასთან მამა იჯდა და თავჩაღუნული სჭამდა. მძიმედ ირხეოდა მისი მძლავრი ბეჭები. დედა შემკრთალი სახით მიყრდნობოდა როიალს და ხმადაბლა ელაპარაკებოდა. უცბად მამამ თავი აიღო, შუბლშეკრულმა შეხედა დედას და მაგიდას მუშტი დაჰკრა. ჭურჭელმა დაიზრიალა. დედა კიდევ უფრო გაფითრდა.

— ეს სულ შენი და იმ ქალთევზას მოგონილია. მეორედ არ გამაგონო, თორემ...

„ქალთევზა!“ მე უკვე მივხვდი ვისზედაც იყო ლაპარაკი. მაშ ჩემი მამაც ასე ფიქრობს...

დედა ტიროდა. დედა საერთოდ ადვილად ტირის ხოლმე, მაშინაც, როცა რაიმე გაუხარდება, მაშინაც — როცა ეწყინება.

მამა ჭამას განაგრძობდა და ხანდახან გაჰხედავდა დედას. ის კი როიალზე მიყრდნობილი სლუკუნებდა და მხრები უცახცახებდა.

მამა ადგა, მივიდა და მხარზე ხელი დაადო.

— ჰო, კარგი, გეყოფა. კარგი მეთქი!



— მე ხომ შენთვის, მხოლოდ შენთვის ვცდილობდი... სანამ უნდა იყო იქ, მთებში? ვინ იცის, რა მოგივა...

მამამ ამოიოხრა, დედა მკერდთან მიიზიდა და თმაზე ხელი გადაუსვა.

— კარგი, გეყოფა. ბოლოსდაბოლოს არ შეიძლება რუსთაველის პროსპექტზე ელსადგურის აშენება, მე კი სხვა არაფერი შემიძლია.

— შენ ყველაფერი შეგიძლია. თუ მოინდომებ, ყველაფერი შეგიძლია.

— ჰო, ჰო, მხოლოდ ბავშვს ნუ გავაღვიძებთ.

თვალები დავხუჭე. ვიცოდი, რომ ახლა მამა ჩემს საწოლთან მოვა, ღიმილით დამხედავს და მსუსხავი ტუჩებით მაკოცებს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, რომ არ გამაღვიძოს. მე გულისცემით მოველოდი ამ წუთს და მიხაროდა, რომ ვგავარ მამას, ასეთ ღონიერს, ლამაზს და მტკიცეს. მერე ვხედავდი ოქროსდალალებიან გოგონას. გოგონას ხელში ცისფერი ბაფთა ეჭირა, ხოლო დათვებს უტიფარი თვალები დაეჭყიტათ.

ბეჟან ბარდაველიძე

# ჩვენ გვწერენ

## დესპინეს „დედოფლები“

ლაგოდეხის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა გაეჩაღებინათ.

დესპინე ფრიდონიშვილი კვალდაკვალ მიყვებოდა ტრაქტორს, ამოწმებდა, თუ როგორ ითესებოდა კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდის მარცვლები...

შარშან არ დაუთესია კვადრატულ-ბუდობრივად დესპინეს სიმინდი, მაგრამ კარგად მოუარა და მასზე გაპიროვნებულ ერთ ჰექტარ ფართობზე 65 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

წელს უფრო დიდი ყურადღება დაეთმო სიმინდის კულტურას. ეს კარგად გაიგო დესპინემ და ამიტომ კვალდაკვალ მიჰყვებოდა ტრაქტორს.

მალე წამოიზარდა სიმინდები. მაგრამ გვალვები დაიწყო. პირველი თოხნა უკვე ჩატარებული ჰქონდა და მეორე თოხნისათვის ემზადებოდა დესპინე, რომ ყურებჩამოყრილი სიმინდები დაინახა.

აღარ დაუყოვნებია. მაშინვე მოძებნა რუ, გზა გაუკაფა და სიმინდის ნაკვეთში ანკარა წყალი მიუშვა.

დესპინე ყოველდღე ყანაში ტრიალებდა: რწყავდა, თოხნიდა, სარეველა ბალახებს აშორებდა, გამოხშირვას აწარმოებდა, მინერალური სასუქებიც შეჰქონდა...

ხალხს სიტყვა მისცა დესპინემ, რომ მასზე გაპიროვნებული ერთი ჰექტარი ფართობიდან 80 ცენტნერ სიმინდს მიიღებდა. „დედოფლებზე“ მზრუნველობამ უქმად არ ჩაუარა, ჰექტარზე 95 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

ო. გოჩელაშვილი,

ლაგოდეხი.

## საინტერესო ცხოვრება

ძველი ოზურგეთის მაზრაში შალიკაშვილების ოჯახი სოფელ ლიხაურის იქით თითქმის არავისთვის არ იყო ცნობილი. მრავალშვილიან მშობლებს კატოსა და ყარამანს მუდმივ საზრუნავად ის ჰქონდათ, რომ ბავშვებისათვის ლუკმაპური არ მოეკლოთ და ზამთარში ჩაუცმელ-დაუხურავი არ დარჩენოდათ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პატარა თითიას, ასე ეძახდნენ მაშინ მარგალიტას შინაურები, სურვილი ვერ შეუსრულეს და სასწავლებლად ვერ მიაბარეს. დღენიადაგ სწუხდა გოგონა, ნამდვილად უსწავლელი დავრჩებიო. ჩამოხმა და ალბათ დაავადდებოდა კიდეც, მეზობლად მცხოვრებ კეთილ ადამიანს —ეკა ცეცხლაძეს ნათესაური გულთბილობა რომ არ გამოეჩინა. ბავშვის სკოლაში სიარულს ყველაზე მეტად მამა აღუდგა წინ: ქალის სწავლას ხარჯის მეტი არაფერი მოაქვსო. თუ მაინცდამაინც აუცილებელია, ბიჭი მყავს და იმას ვასწავლიო. ეკას რჩევით თითია ვითომ ავადმყოფი მამიდის მოსავლელად გაგზავნეს ოზურგეთში, სადაც რის ვაივაგლახით ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა.

სოფელში დაბრუნებულს, თითიად აღარავინ იხსენებდა. მამასაც გული მოულბა. იფიქრა ქალიშვილი ამ მცირე განათლებას იკმარებს და ღარიბ ოჯახს წაეხმარებაო. მაგრამ მარგალიტას ახლა სულ სხვა სურვილები გაუჩნდა. რაკი სოფელს გასცდა, თითქოს მთელი ქვეყნიერება ჰქონდა შემოვლილი. ნაადრევად გაიგო ის ჭირ-ვარამი, ხალხს დღითი-დღე სიცოცხლეს რომ უწამლავდა.

დრო კი სავსე იყო ახალი მოვლენებით. რუსეთის ბობოქარი რევოლუცია მილიონობით მშრომელს ამხნევებდა მომავლისათვის სამოქმედოდ.

დაიწყო ისევ სწავლა და უძილო ღამეები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ კიდევ უფრო მეტი ენერგია შემატა უკვე მასწავლებელს. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ როცა სამუშაოდ აჭარაში წასვლა შესთავაზეს, იგი უყოყმანოდ დათანხმდა. ადვილი როდი იყო იმ დროს იქ მუშაობა, მაშინ აჭარაში ხოჯები და ბნელი საქმოსნები პარპაშებდნენ, ისინი განაგებდნენ მშრომელთა განათლების საქმეს. ძნელი წარმოსადგენია რამდენი შრომა და ფიქრი დასჭირდა „გურჯ ლამაზმანს“ (ასე შეარქვეს სოფელ ძეწმანში მარგალიტას), რომ სწავლა- განათლების საქმე სათანადო დონეზე დაეყენებინა. პირველ დღეებში მოკვლითაც კი ემუქრებოდნენ, უნდოდათ მოეშორებინათ თავიდან, მაგრამ ბოლოს, როდესაც სოფელში მისი უშუალო ხელმძღვანელობით სკოლის შენობა აიგო, ყველა მასწავლებლის სახელს ახსენებდა.

1917 წლიდან თითია სოფელ ციხისფერდში მასწავლებლობდა, 1923 წელს ახლანდელი ლანჩხუთის რაიონის პატარა სოფელ ჩიბათს ესტუმრა; 1925-დან 1933 წლამდე მახინჯაურში მოღვაწეობდა და მხოლოდ მას შემდეგ გადასწყვიტა დედაქალაქში გადმოსვლა. ჩამოვიდა და თან მდიდარი გამოცდილება ჩამოიტანა.

ახლა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მარგალიტა ჯორბენაძე თბილისის 84-ე საშუალო სკოლაში მუშაობს.

გ. ჭიჭინაძე

## სოფლის [illegible]

ოცდაორი წელია წულუკიძის რაიონის სოფელ ქუტირის საშუალო სკოლაში მასწავლებლობს ნეოლინა პორფილეს ასული ჯიქიძე, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. იგი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს, როგორც შესანიშნავი და გულისხმიერი აღმზრდელი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, არის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, პარტიული განათლების ქსელის პროპაგანდისტი, საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1939 წლიდან ქუტირის სასოფლო საბჭოს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა. მრავალი ოჯახი დაუყენებია სწორ გზაზე, მრავალი ახალგაზრდისათვის შეუყვარებია შრომა და კეთილსინდისიერი საქმიანობა. სოფელს უყვარს ეს ამაგდარი და შრომისმოყვარე ადამიანი.

კ. ტერელაძე,

სოფელი ქუტირი.

## დები

ხუთი ათეული წლის წინათ შეუდგნენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს დაბა ახმეტაში მცხოვრები დები — ელენე ფარეულიძე და ეკატერინე ლუკოვსკაია. რევოლუციამდელ საქართველოში ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ხალხის განათლებისათვის თავდადებულ ქალიშვილებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მათ ფართოდ გაშალეს თავიანთი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა.

ჩამორჩენილი ახმეტა მათ თვალწინ აყვავდა და დამშვენდა. ახმეტის ახალგაზრდობა მათ ხელში გაიზარდა. მათი ხანგრძლივი და უმწიკვლო შრომა სათანადოდ დაფასდა. პედაგოგი დები დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, მიანიჭეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა ეკატერინე ლუკოვსკაია.

ელენე ფარეულიძე, პერსონალური პენსიონერი, ჯანმრთელადაა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ვერ სთმობს სკოლას, ხშირი სტუმარია ახალგაზრდა მასწავლებლებისა, თავის დიდ გამოცდილებას უზიარებს მათ.

ნ. სულხანიშვილი,

ახმეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტომშენებელი დები

ზოგჯერ საყვედური დასცდება ბიქტორ კიკნაველიძეს. გაუმტყუნებთ? ჩიტებივით გამოზარდა ორი ქალიშვილი და ორივე გაექცა, არ გაჩერდნენ სოფელში.

— სულ იმ ბიჭის ბრალი კია! — იტყვის იგი.

— რომელი ბიჭის? — გონს ვერ მოსულა ცოლი.

— რომელის და შენი დის ამშენებლის, ავთანდილის! — მიახლის იგი.

ავთანდილი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს ოსტატად. ორი წლის წინ მან წაიყვანა ეთერი იქ.

მწვანე მთებისა და თეთრი ღრუბლებით მოჩითული ცის პატრონს ეუცხოვა ნაცრისფერი საამქრო, ზღვასავით უნაპირო და ზღვასავით ბობოქარი, ხმაურა. ნეტავ გზას როგორ აგნებენ? — შეეპარა შიში ეთერის.

ერთი წლის შემდეგ კი უფროსი დის გზას უმცროსი—ლალიც გაჰყვა. ლალიმ საშუალო სკოლა თავის სოფელში—საკრეულაში დაამთავრა, ავტომშენებლობამ გაიტაცა, შეიყვარა ეს საქმე. სწავლის გაგრძელებას ფიქრობს: ავტოინჟინრობა სწადია.

ორ თვეში დაეუფლა სპეციალობას ლალი. მისი ყოველთვიური გამომუშავება 120-დან 150 პროცენტამდე ადიოდა.

ახლა ავტომშენებელი დები ერთად მუშაობენ, მათი მოვალეობაა კბილანების გაკონტროლება.

ავტოქარხნელები თვალსაჩინო მიღწევებით შეეგებნენ ჩვენი პარტიის XXII ყრილობას. კონვეიერის ლიანდაგებზე გუგუნითა და გრიალით ჩამოდიან ქართული მარკის ავტომობილები.

კარგახანია ქარხნის კოლექტივმა აითვისა „კაზ 600“ ორმხრივმცლელი მანქანა და ახლა მისი სერიული გამოშვება სწარმოებს.

დიდი ხანი არ არის, რაც აქვე, საკონსტრუქტორო ბიუროში დაიბადა ახალი მანქანა „კაზ 606“ გამწევი „კოლხიდა“. მისი ყველა ნაწილი თუ დეტალი ადგილზე მზადდება.

პირველმა მანქანებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და ცხრა ათასი კილომეტრი ორმოცდათხუთმეტ დღეში დაფარა.



ქუთაისიდან ბრატსკიჰესამდე ტაშითა და ყვავილებით ხვდებოდნენ ქართველ ავტომშენებლებს კრასნოდარის, როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის, კუიბიშევის, უფას, ჩელიაბინსკის, კუსტანაის, ომსკის, ნოვოსიბირსკის და ტაშკენტის მშრომელები.

მათ შესახებ გადმოსცემდნენ რადიოთი, აჩვენებდნენ ტელევიზორის ეკრანებზე.

ამ ხნის მანძილზე „კოლხიდას“ არსად და არც ერთხელ არ დასჭირვებია შეკეთება.

იგი გაეგზავნება შუა აზიის რესპუბლიკებს ბამბის პლანტაციებიდან თეთრი ოქროს გამოსატანად. მას ხომ შვიდი ტონა ტვირთის ზიდვა შეუძლია!

მიმდინარე წელს, ქარხნის დაარსების ათი წლის თავზე, კონვეიერიდან ორმოცდაათი ათასზე მეტი მანქანა იყო ჩამოყვანილი.

ეს ყველაფერი იციან დებმა — ეთერი და ლალი კიკნაველიძეებმა და ათასჯერ შეატრიალეს კბილანებს. კიდევ რამდენი გზა უნდა გაიარონ მათ, რომ ავტომანქანებში თავიანთი ადგილი იპოვონ. აქ მარტო სიჩქარე როდია საკმარისი. დაკვირვებული თვალი და საქმის სიყვარულია საჭირო... ასე ფიქრობენ შესვენებაზე ჩინარებისა და ჭადრების ჩრდილში დასასვენებლად გამოსული დები.

იქ, მდინარე საკრეულას ნაპირას ბუზღუნებს მამა, მშობლიურ კერას ქარხნის საერთო საცხოვრებელი რატომ ამჯობინესო. ისე, მართალი რომ თქვას კაცმა, კარგი კია, მაღალი, თეთრი შენობები, შეხედავ და გული გაგინათდება, მაგრამ...

— იმ ბიჭის ბრალია! — იტყვის და ყალიონს გააბოლებს. სადღაც გულის კუნჭულში მაინც სიამოვნებს:

მოწინავე მუშებია მისი გოგოები, ახლა რომ ხურავენ, ალბათ, იმ დიდ სახლში დასახლდებიან შემდეგ და კვლავ კეთილი გზით ივლიან.

ეთერ ჟორჟოლიანი,

ქ. ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა



სვანეთის გაუვალი ტყე. მეფის რუსეთმა ვერ მოუარა ამ სიმდიდრეს. იტალიელებს მისცეს იჯარით. გადაიხადეს კაპიკები. მიიღებენ მილიონებს.

მოიჯარადრე მუშებს აჩქარებს... ზათქით ეშვებიან მოჭრილი ხეები — ფიჭვი, ცაცხვი, მუხა, წიფელა... აქაფებული ცხენისწყალი მიაქანებს მათ დაბლობისაკენ.

მოაწყდნენ საშოვარზე წამოსული გლეხები.

ფოთის ნავთსადგურში იტვირთება უცხოეთის გემები, მიაქვთ საუკეთესო ხე-ტყის მასალა..

გულნაკლულად არავის ისტუმრებს ინჟინერი.

— ვინ არის?

— სადაურია?

— ცოლიანია? — ჩუმად კითხულობენ გოგოები.

— უცოლოა. გერმანელია. გვარად შტეინბერგი.

— რად გვინდა, ქართული არ იცის. ჩვენ კი მისი ენის არაფერი გაგვეგება. ესეც არ იყოს, რა უშნოა: აწოწილი, ჟირაფივით გრძელი კისერი, ქერა სახე, ჭროლა თვალები, წითელი ცხვირი.

გასათხოვარი ქალიშვილების მშობლები ბრაზობენ:

— რას სულელობთ, თქვენ ვინ გაღირსებთ ასეთ კაცს, ინჟინერს!

აზნაურები გულში ნატრობენ: „ნეტავ, ჩემი ქალიშვილი მოეწონოს“! ფერუმარილით ითხუპნებიან გოგოები, მშობლების ბრძანებით თავს აწონებენ განათლებულ კაცს“.

„რა ჩემი ტოლები არიანო!“ — იბღინძება შტეინბერგი. მაგრამ ერთ დღეს ნუშისთვალებიან გლეხის გოგონას მოჰკრა თვალი, ლერწამივით აშოლტილს, ხალებით დაწინწკლულს. „ამას არ დავთმობ, ჩემი უნდა გახდეს“.

გაედევნა, დაეწია.

— თქვენი სახელი? — გოგონა დაფრთხა, გაწითლდა, ამოიღუღუნა:

— ნინო...

— მე კი ლუი მქვია! — კოკა ჩამოართვა, სახლამდე მიაცილა, მეზობლის გოგოები ფანჯრებს მოაწყდნენ.

აზნაურის ქალები გესლიანობენ.

მაჭანკლებმა საქმე გაჩარხეს. მშობლები სიხარულით ცას დაეწიენ. ნინოს არ კითხეს. ქორწილი. ჩუმი ცრემლები. ორი წელი, ორი ვაჟიშვილი: შალვა და ლევანი. ყოველდღე სტუმრები. ყოველღამე გალეშილი ქმარი. გულის ამრევი ღვინის სუნი. არც ალერსი, არც საჩუქარი. თუ რამეს მოახელებს, ოჯახიდან მიაქვს, ყიდის.

არცერთი საყვედური, არა! „ალბათ, ეს იყო ჩემი ბედი. ქმარია, ღმერთს ვერ შევცოდებ. ორი შვილის დედა ვარ. ესენი გამეზარდოს. სხვა ბედნიერება მე არ მინდა“.

ნინოს მამა ხედავს, თუ როგორ ღარიბდება ოჯახი, როგორ ჩანაგდება მისი ნაამაგარი. ბობოქრობს. მოთმინების ძაფი გაწყდა, სიმამრმა კინწისკვრით გააგდო სიძე.

...ბნელი ღამე მაჯლაჯუნასავით დასწოლია სოფელს. სძინავს ყველას. ღრმა ძილით სძინავს ნინოსაც. კარებს აჩრდილი მიადგა, დანის წვერით უხმაუროდ ააგდო რაზა. ფრთხილი ნაბიჯებით შეიპარა ოთახში, იცოდა სად ეძინა ოთხი წლის ლევანს, დედის ხატებას. დაიხარა ასაყვანად, გულისკუნჭულში კეთილმა გაიღვიძა, იდუმალმა ხმამ ჩასძახა: „რას სჩადი, ლუი?“ შეჩერდა... ბოროტმა სძლია: „ამით გავამწარებ, ჩემს უშვილო დას მივუყვან გასაზრდელად“.

დედა სიზმარშია: ხახა დაუღია ლომს, აჰა, წაავლო ლევანს პირი და... ნინოს კივილმა ჰაერი გააპო.

სოფელი ფეხზე დადგა. ლევანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მოხუცებმა ვერ აიტანეს შვილის უბედურება, შვილიშვილის დაკარგვა. ჯერ დედა მოკვდა, მერე მამა.

სასოწარკვეთილებაშია ნინო. „როგორ ვიცოცხლო! სიკვდილს ვნატრობ, არ მოდის. მაშ მე წავალ. ცხენისწყალმა დამღუპა, ახლაც იმან მომიღოს ბოლო“. წამოდგა, ბარბაცით მივიდა კართან. ვიღაცამ კაბაზე წაავლო ხელი „დედა, სად მიდიხარ? მეშინია მარტო“... ნინო გამოფხიზლდა — „როგორ უღალატოს მეორე შვილს? როგორ დააგდოს ობლად? წყეულიმც იყავ“!..

გული გაიმაგრა. დაატრიალა წალდი, ნაჯახი, თოხი, ბარი, სახნისი, კავი. შრომას არ თაკილობს.

— ცოდვა ხარ, ქალო, უმჯობესია გათხოვდე, ახალგაზრდა ხარ, — ეუბნებიან მეზობლები.

—მამინაცვალი დავუსვა ჩემს შალვას? უმალ სიკვდილი ნინოს!

წელში გაიმართა დაქცეული ოჯახი. შალვა ქუთაისში სწავლობს. „ლევანიც რომ მყავდეს, რა ბედნიერი ვიქნებოდი!“ — ფიქრობს გულდამწვარი დედა და ცრემლებს ყლაპავს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, შეიცვალა ადამიანების ცხოვრება, შეიცვალა ქვეყანა. ბორკილები დაიმსხვრა, გზები გაიხსნა. ნინოს იმედი მიეცა: „იქნებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი იყოს ჩემი ლევანი“. შორიდან ეალერსება, თან იმდუღრება: „ახლა ვაჟკაცი იქნები, შვილო!“ ისევ დაიწყო ძებნა, ისევ ამაოდ. ისევ შრომაში იქარვებს დარდს. კოლექტივში პირველი შევიდა, ვაჟკაცებს დაასწრო.

მშრომელმა ხალხმა ააყვავა ქვეყანა. აყვავდა ნინოს სოფელიც. გვიმრები და თხმელები ქოჩორა ჩაიმ შესცვალა, ქოხები ორსართულიან ქვითკირის სახლებმა, ტალახიანი და მინგრეულ-მონგრეული გზები — გზატკეცილებმა. საშუალო სკოლა, სამკითხველო, რადიო, ელექტროგანათება, კინოთეატრი... ყველა ხარობს, ყველა ბედნიერია. განა ნინოს არ უხარია? შალვა დამსახურებული ექიმია, თვითონ ხუთი შვილიშვილის ბებიაა: ზოგი ინჟინერია, ზოგი ექიმი, ზოგიც აგრონომი.

მაგრამ ბედნიერია ნინო? „შვილო!“ — ხშირად ჩურჩულებს იგი და ცრემლები ახრჩობს.

ისევ ბობოქრობს ცხენისწყალი, ისევ მუშაობს ძველი ბორანი, ისევ ჭირს ადიდებული მდინარის გადალახვა. ამდენი მიღწევები და რა გაჭირდა ერთი ხიდი? ორი რაიონი ამოუდგა ერთმანეთს მხარში, დაისვა ხიდის აგების საკითხი.

თბილისიდან ჩამოვიდნენ ინჟინრები, ტექნიკოსები.

— მყუდრო ბინაა საჭირო სათათბიროდ, გეგმების შესადგენად. ნინოსთან მივიყვანოთ, მარტოა სახლში. — ასე თქვეს რაიონის ხელმძღვანელებმა.

წელშიმოხრილი მოხუცი გამოეგება მოსულებს, უარით გაისტუმრა ისინი — ზაფხულში შვილიშვილები მეწვევიანო. მერე კი თვითონვე შეწუხდა, ეს რა ჩავიდინეო. უკან დაედევნა, ბოდიში მოუხადა.

— დაბრუნდით, შვილებო, სახლს როგორ დაგიჭერთ. არც ფული მინდა თქვენი. სიბერემ გამომაჩერჩეტა, თუმცა ჩემი ლევანის დამკარგავს კიდევ როგორ მიდგას სული, — და დამჭკნარ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

მოსულები რომ სახლში შეიწვია, თვითონ სამზარეულოსკენ წაფრატუნდა. თითქოს მუხლებში ძალა მოემატა, მუდამ შუბლშეკრულს, სახე გაეხსნა, რაღაც უხარია... თვითონაც უკვირს — „რა მემართება? ხომ არ ვკვდები?...“

ქერათმიანი ინჟინერი ოთახში ბოლთას სცემს. უცნაურად გრძნობს თავს. რაღაცნაირად გული შემოკვნესის. თვალწინ უდგას მოხუცის ცრემლიანი სახე, ყურებში ესმის: „ჩემი ლევანის დამკარგავს“... ალბათ, მოუკვდა...

გაახსენდა ბელორუსია, ქალაქი მინსკი, ომის ქარცეცხლი, გამძვინვარებული მტერი, დანგრეული სახლი, მამის გაციებული გვამი. სულთმობრძავი დედა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილი მისი სიტყვები:

— უნდა გვაპატიო, შვილო... შენს წინაშე დამნაშავე ვართ. უხეირო მამაშენმა მოგვატყუა — დედა გარდაეცვალაო, სიკვდილის წინ აღსარება გვითხრა: დედა ცოცხალი გყოლია, ვერ გაგიმხილეთ, გვეშინოდა მიგვატოვებდი... წადი იქ, საქართველოში, დედა მონახე...

„დედა!... საქართველოში! რომელ ქალაქში? რომელ კუთხეში? ატარებს კია ქმრის გვარს? იქნებ გათხოვდა! და? ძმა?... იქნებ არა მყავს... სად ვიპოვო? იქნებ ცოცხალიც არ არის!“ რამდენი ფიქრი, რამდენი განცდა...

გულმა საქართველოსკენ გამოუწია. იქნებ, სადმე ახლო ძგერს დედის გული... მისი ყურადღება ჩარჩოში ჩასმულ ქალ-ვაჟის სურათმა მიიპყრო, ჩამოხსნა, დააშტერდა, „რა ნაცნობი სახეებია, სად უნახავს? რა ლამაზია ქალი...“

ოთახში ნინო შემოფარფატდა, ინჟინერი რომ დაინახა სურათით ხელში, ახლოს მივიდა, სახეზე დააკვირდა; ხალები ჰქონია, ნუშის თვალები... გულმა გაიბრძოლა — სადღაც მინახავს... სადღაც მინახავს...

ესეც რუსეთიდან ჩამოსული აღმოჩნდა, შტეინბერგი ვარო, — თქვა.

— შვილო ლევან!..

სურათი იატაკზე დავარდა, მინა დაიმსხვრა, ინჟინერმა აკანკალებული ხელები წინ გაიშვირა:

— დედა!...

ოლია რევია



ანა ხახუტაშვილი (მარცხნივ), მარიჯანი და ნინო ნაკაშიძე

# მეგობარს

შესრულდა ერთი წელი ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლის ანა ხახუტაშვილის (ცქვიტი) გარდაცვალებიდან.

საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექციამ მწერლის მშობლიურ სოფელ მეჯვრისხევში მოაწყო ანა ხახუტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. საღამოზე მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა მარიჯანმა.

ისევ აქა ვართ! კვლავ მეჯვრისხევში.
ასე მგონია შენი ხმა მესმის:
ისევ ჩვენთან ხარ ყვავილით ხელში
და სიხარულის კვლავ ფრთები გვესხმის.
აქ ირწეოდა შენი აკვანი,
აქ წინაპრების ანთია კერა,
შენ აქ პირველად ეცი თაყვანი
მზის ამოსვლას და ვარსკვლავთა მზერას.
აქ შენ ბავშვობას ეს მზე უვლიდა,
აქ იზრდებოდი ახალი რწმენით,
შენზე ამბობენ: ქართლის გულიდან
მოაქვს სიმდიდრე მშობლიურ ენის.
პოეზიაში გიყვარდა ვაჟა,
მისი გმირების მოგდევს იერი,
შენი კალამი მან გააკაჟა
და ამით იყავ შენ ბედნიერი.
ისე ებრძოდი დაავადებას,
როგორც ებრძოდი სიტყვათა ხავსებს.
და შენ სიცოცხლეს ქონდა თავდებად —
რომ გული შეგრჩა კვლავ ცეცხლით სავსე.
შენ შენებურად დაცინვით გითქვამს:
„შემომერკალა ყოფნის გარემო,
და თუ ამასაც სიკვდილი ჰქვია,
ჩასკდეს, მეხი კი დავაყარეო!“
მუდამ ვიგონებ შენს სიხალისეს,
და სულ მგონია ისევ ჩვენთან ხარ.
შენ არ მომკვდარხარ! იცოცხლებს ისევ
შენი ნაწერის ოქროს ბარაქა!

მარიჯან



მალე ეს ბიჭუნა ახალ ლამაზ კოსტუმში ივლის

# ბავშვთა ატელიე

კარი იღება, ხუთიოდე წლის შავთვალა ბიჭი მამას ხელჩაკიდებული გამოჰყავს. ბიჭს ახლად შეკერილი, გაწკეპილი „ბუკლეს“ პალტო აცვია და წამდაუწუმ ზედ იყურება. ხან საყელოს ისწორებს, ხან ჯიბეებში იყოფს ხელს, მამას გვერდიდან მედიდურად გახცქერის და შეუსვენებლად ტიტინებს:

— მამიკო, შენ რომ პალტო გაქვს, ჩემიც ისეთია, ჰოთ? ნახე როგორი ქამარი აქვს? — ბავშვი ახლა ქამარზე იკიდებს ხელს...

შენობის შესასვლელს, საიდანაც მამა-შვილი გამოვიდა, დიდი, ლამაზი ასოებით წარწერა აქვს გაკეთებული: ბავშვთა ატელიე. განიერ ვიტრინებში სხვადასხვა ზომის, ფერისა და მოყვანილობის ტანსაცმელია გამოფენილი — ზოგი უკვე შეკერილი და გამზადებული, ზოგიც დაუმთავრებელი. ვერცერთი დედა და ბებია ვერ ჩაივლის აქ ისე, თუ არ შეჩერდა და გულდაგულ არ შეათვალიერა კოხტად ჩამწკრივებული კაბები, კოსტუმები და პალტოები.

მზითა და სინათლით გაჩაღებული მოსაცდელი მშობლებითა და ბავშვებით ავსილა. ← ჰალში გვეცემათ ნორჩების ალგზნებული სახეები: ხუმრობა არ გეგონოთ, ისინი აქ დაკვეთის მისაცემად ან ჩასაზომებლად არიან მოსული! აგერ, მთლად პატარები წითელი ვარდებით მოხატულ დაბალ მაგიდებს შემოსხდომიან და სათამაშოებით ერთობიან.

სადემონსტრაციოდ გამოტანილ მაღალხარისხოვან ნაირ-ნაირ ქსოვილებთან, რომლებზეც შეღავათიანი ფასებია დაწესებული, ერთი ჩოჩქოლია, აი სადა აქვთ მშობლებს „პრობლემა“ გადასაწყვეტი, არის სჯა-ბაასი ფერისა თუ ხარისხის შესარჩევად.

მოსაცდელის მოპირდაპირე მხარეებზე ჩასაზომებელი კაბინებია განლაგებული. მკერავები მარჯვედ ატრიალებენ სარკეების წინ თავიანთ კლიენტებს და ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთ მოარგონ ტანზე.

კვირადღით, როცა აქ უფრო ხალხმრავლობაა, ხშირად ნახავთ მოდელიორს ზინაიდა კარასოვას, იგი მშობლებშია ჩამდგარი და — ხან ერთს, ხან მეორეს ურჩევს, როგორი ფერის ან აჭრილობის კაბა თუ შარვალი მოუხდება მის შვილს. ზინაიდა გემოვნებიანი და გულისხმიერი ოსტატია, ცამეტი წელია თავის საქმეს ემსახურება და ძალღონეს არ იშურებს, რომ მისი პროდუქცია ლამაზი, მიმზიდველი და პრაქტიკული იყოს. თბილისის რამდენიმე სამკერვალო ფაბრიკა კერავს მისი მოდელების მიხედვით ტანსაცმელს, მაგრამ ეს როდი ამშვიდებს ზინაიდას — ის სულ ახლის და ახლის ძიებაშია.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ კომფორტაბელურ საამქროებში საქმიანი ფუსფუსია. საკერავს ველარ აუდიან. ყოველდღე ათობით დაკვეთა შემოდის. ატელიეში უკვე დაინერგა ნახევარფაბრიკატების გამოშვების მეთოდი: ზომების მიხედვით უკვე ნაწილობრივ გამზადებული და შეკერილი ტანსაცმლისათვის მხოლოდ ერთხელ ან ორჯერაა ჩასაზომებლად მისვლა საკმარისი, შემდეგ იგი სამ-ოთხ დღეში ბარდება მომხმარებლებს.



ელოდებიან თავის რიგს

ვაჟების ტანსაცმლის საამქროში სანდომიანი სახის მანდილოსანი შევიდა, ბოდიში მოიხადა და გამომჭრელთან საქმიან საუბარში გართულ ატელიეს დირექტორს ნინო შეფარიშვილს მიმართა:

— თქვენთან მომასწავლეს, ჩემი ბიჭიკო მეათე კლასშია, მაგრამ ტანი ისე აიყარა, რომ მზა სასკოლო ფორმა ველარ მიშოვნია...

— მზადა ვართ მოგემსახუროთ. — აღარ დაამთავრებინა სიტყვა დირექტორმა და კარებში დარცხვენით მდგარ „ბიჭიკოს“ გადახედა, რომელიც ისე იყო დავაჟკაცებული, ისეთი განიერი და ფართო მხრები ჰქონდა, რომ ბევრ ფალავანს შეშურდებოდა...

მშობლებისთვის დროის დაზოგვის მიზნით ატელიე ახდენს ბავშვების კომპლექსურ ჩაცმას. განა ამაზე უკეთესი რამე იქნება, რომ ბავშვის ლაზათიანად და გემოვნებით ჩაცმის მოყვარული მშობელი ორი-სამი მისვლით თავიდან ფეხებამდე გამოაწყობს შვილს. ამისათვის ატელიეს სპეციალურად მოწვეული ჰყავს მექუდეები და ხარაზები. რაც შეეხება წვრილმანს: ბაფთებს, ხელთათმანებს, ყელსახვევებს, ცხვირსახოცებსა და სხვას, ატელიე სპეციალურად იძენს მაღაზიებისაგან.



მკერავი თამარ გურგენიძე

გოგონების საამქროში მეტი ფაცი-ფუცია: ზოგი საკერავი მანქანით აგვირისტებს უკვე ჩაზომებულ კაბას თუ პალტოს, ზოგი გასაწყობს — პაწია ციყვებს, სოკოებსა და იებს ქარგავს; ზოგიც გამოჭრილი ტანსაცმლით ხელში ხოჩი კლიენტებისაკენ მიეშურება; აქვე მზადდება გოფრე და პლისე.

სამუშაო მაგიდებთან თავდახრილი ქალიშვილები საკერავს ჩაჰკირკიტებენ. ყველა მათგანს თავისი ბიოგრაფია აქვს, ყველა სხვადასხვა გზით მოვიდა საკერავ მანქანასთან. აგერ ერთი მათგანი ელენე მიშელაძე, გულიანად იცინის, როცა იგონებს როგორ დაიწყო კერვა:

— დედაჩემი ვერაფრით ვერ შეეგუებოდა იმ აზრს, რომ მკერავი გავმხდარიყავი. თუ ნემსით ხელში წამესწრებოდა, ერთ ამბავს დამითევდა. მე კი პატარაობიდანვე ყველგან საკერავი მელანდებოდა და თუთის ფოთლებიდანაც კი თოჯინების ტრუსებს ვჭრიდი. ერთხელ ჩემზა საქმემ ისე გამიტაცა, რომ ფარდას კარგა მოზრდილი ნაჭერი მოვაჭერი და რაღაცა შევკერე, აი, მაშინ გენახათ დედაჩემის ვიშ-ვიში...



ფოტო დ. იაკობაშვილის

კეთილმა, ალალმა გულმა, ბავშვებისადმი სიყვარულმა მოიყვანა აქ გამომჭრელი ევგენია ავაქოვა. როგორი სიფრთხილით, მონდომებით ჭრის იგი თვითეულ ნაჭერს, როგორც ცდილობს შნოიანი და მოხდენილი გამოუვიდეს ნამუშევარი!

სამკერვალო საამქროში ნორჩმა მკერავმა თამარ გურგენიძემ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. შეკითხვაზე ასე რად ეჩქარებოდა მუშაობის დაწყება, დიდი ბრიალა თვალები შემოგვანათა და მიჯრით მიწყობილი ლამაზი კბილები გამოაჩინა.

— ძალიან მინდა ვკერო, ყველას აქვს თავისი მიზანი. მე კი სწორედ განთქმული მკერავი მინდა გავხდე, თან ჩემ ოჯახსაც ასე ვშველი... ვისწავლი კიდეც, უსწავლელი არ დავრჩები!

თამარის გვერდით ნადეჟდა გუბელაძე მუშაობს. იგი იღიმება და დაბალი ხმით ამბობს:

— საკუთარი არა მყავს, სხვის შვილებს მაინც შევუკერავ და ამით მოვიჯერებ გულს...

დაუღალავად შრომობს სამოცდაათკაციანი ოჯახი. მაღალი სარკმელებიდან მზე გულუხვად უმასპინძლდება გამრჯე, ბეჯით ადამიანებს.

ნანული ცაგარეიშვილი



ახალ პალტოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ექთანი შეჩერდა კართან, რომელსაც ეწერა: „ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე“, ოდნავ დააყოვნა, შემდეგ კარი შეაღო და ავადმყოფის ისტორიის კითხვით გართულ ქალს მიმართა:

— პატივცემულო მარგარიტა, თქვენთან არიან. ვიღაც გკითხულობთ.

მარგარიტა ჯინჭარაძემ ჩვეული მოძრაობით თეთრი ჩაჩიდან გადმოყრილი თმები შეისწორა, ხალათზე ხელი ჩამოისვა და კიბეს ჩაუყვა. ვესტიბულში მის შესახვედრად ვიღაც დაიძრა.

— ჩემთან ხართ? რა გნებავთ? — უკვე მოემზადა შეკითხვისათვის ექიმი, რომ უცბად მოგონებათა ტალღა აიშალა მეხსიერებაში და თითქოს დაეჭვებით, თავისთვის წარმოსთქვა: „სიმონიკა? გრიგალაშვილი? ნუთუ?“

—ექიმო მარგო! მიცანით, ძვირფასო!

და იგი თეთრხალათიან ქალს გადაეხვია, თავი მხარზე დაადო და ხმამაღლა აზლუქუნდა.

— კარგი, სიმონიკა, როგორ არ გრცხვენია! მაშინ არ გიტირია, როცა გჭრიდი და გკერავდი და ახლა რა მოგდის... — განზრახ გაუწყრა იგი ახალგაზრდა კაცს, მაგრამ სიმონმა კარგად იცოდა, რომ ეს საყვედური არ იყო. პირიქით, ექიმს ამით თავისი მღელვარების დაფარვა სურდა, საკუთარი ცრემლების დამალვა, თვალის უპეები რომ ამოუვსო. ახალგაზრდა კაცი ექიმის ხელს გულში იხუტებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა:

— რამდენჯერ მოვსულვარ თქვენს სახლთან და შემოსვლა ვერ გამიბედია... ჩემი მეორე დედა ხართ! ჩვენ ხომ ლენინგრადმა დაგვანათესავა... ხომ გახსოვთ, ექიმო?

ახსოვდა მარგარიტას, როგორ არ ახსოვდა! სულ უფრო ნათლად და მწვავედ, თუმცა მას შემდეგ, ვინ მოთვლის, რამდენი წელი გავიდა... მტრების მიერ ალყაშემორტყმული ქალაქი — ფრონტი. გათანგული, მაგრამ მაინც მფეთქავი, სისხლისაგან დაცლილი, მაგრამ გაუტეხელი, ციხე-სიმაგრედ ქცეული ქალაქი, სადაც თვითეული სახლი, თვითეული გზაჯვარედინი, თვითეული კუნჭული მზად იყო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა. არ იყო პური, სათბობი, სინათლე, წყალი, მაგრამ არ იყო უიმედობა და სასოწარკვეთა.

აქ თვითეულ მცხოვრებს თავი ჯარისკაცად წარმოედგინა. და მათ შორის იყო ახალგაზრდა ქართველი ექიმი ქალი მარგარიტა ჯინჭარაძე.

იმ ხუთი წლის განმავლობაში, ლენინგრადში რომ გაატარა (1937 წელს ასპირანტურაში შევიდა, სამი წლის შემდეგ დისერტაცია დაიცვა და ინსტიტუტშივე დატოვეს მეცნიერ მუშაკად), იგი ისე შეესისხლხორცა ქალაქს, ისე შეიყვარა, რომ არავის გასჰკვირვებია, ომის პირველსავე დღეებში სამხედრო მაზარა რომ ჩაიცვა და ლენინგრადის მკვიდრივით დადგა მის ურიცხვ დამცველთა რიგებში. ჰოსპიტალი ვასილევის კუნძულზე, სადაც მარგარიტა ქირურგიულ განყოფილებას განაგებდა, მრავალი თვის განმავლობაში მის მეორე მშობლიურ კერად გადაიქცა. სწორედ იქ შეხვდა პირველად სიმონ გრიგალაშვილს.

...ჰოსპიტალის გრძელ ტალანში რომ გარბოდა, სადაც ახლად მოყვანილი დაჭრილები საკაცეებით მიჯრით ჩაემწკრივებინათ, უცბად ქართულად მოესმა:

— ვაიმე, დედა!

მარგარიტამ დაჭრილთან მიირბინა, დაიხარა და პირველი გამამხნევებელი სიტყვა უთხრა, რაც უცბად მოადგა ენაზე. ჭაბუკს მშობლიური ლაპარაკი რომ ჩაესმა, საკაცეზე შეირხა და ოდნავ გასაგონად ამოილუღლუღა:

— მიშველე ექიმო! ჯერ არ მინდა სიკვდილი...

თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. მარგარიტამ თვალი მოავლო მის გაფითრებულ, წამებულ სახეს, ყური მიუგდო ხრინწიან სუნთქვას და სანიტრებს უხმო:

— საოპერაციოში!

სიმონს მკერდში მსხვრევადი ტყვია მოხვედროდა. მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო. იმ პალატაში რომ შედიოდნენ, სადაც ნაოპერაციები გრიგალაშვილი იწვა, ჯინჭარაძის კოლეგები თვალებზე ხელს იფარებდნენ და უიმედოდ თავს აქნევდნენ. მაგრამ თვითონ მკურნალი ექიმი იმედს არ ჰკარგავდა... და ავადმყოფმა მოიხედა, გადარჩა. ოთხ თვეს გაგრძელდა სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, ახალგაზრდა ორგანიზმმა გაიმარჯვა. თუმცა განა მარტო ორგანიზმმა? ექიმის ღრმა ცოდნამ, გულისხმიერებამ, უძილო ღამეებმა, ნებისყოფის უდიდესმა სიმტკიცემ.

1942 წლის აპრილში დიდი მიწიდან მოსული ერთ-ერთი პირველი თვითმფრინავით გრიგალაშვილი ზურგში გადაიყვანეს. გამომშვიდობებისას, სულ უკანასკნელ წუთში მარგარიტამ მას ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუდო თავისი მისამართით და სთხოვა: თბილისში თუ მოხვდე, ჩემს მშობლებთან მიდი, გადაეცი ცოცხალი და ჯანმრთელი რომ მნახეო.

შემდეგაც ჰოსპიტალში სულ ახალ-ახალი დაჭრილები მოჰყავდათ, არ იყო ადგილები, არ ჰყოფნიდათ მედიკამენტე-

ბი... მარგარიტა ჯინჭარაძემ უძილო ღამეების სათვალავი დაკარგა. გადაღლისა და შიმშილისაგან სულ უფრო ხშირად უბნელდებოდა თვალთ, მაგრამ რა ექნა, ხელიდან იარაღს ვერ გააგდებდა, ვერ წავიდოდა დასასვენებლად და დასაძინებლად, როცა მის ახლოს ადამიანს უჭირდა, კვნესოდა, მის დახმარებას ელოდა.

ჰოსპიტალში მუშაობასთან ერთად სამედიცინო სამსახურის მაიორი მ. ჯინჭარაძე სამხედრო-საექიმო კომისიის წევრიც იყო. ღამით ლენინგრადის ქუჩებში რომ მიაბიჯებდა, ქალაქს ვერ სცნობდა. ალყის ღამეები დაუსრულებლად გრძელი ეჩვენებოდა. არც ერთ ფანჯარაში არ ენთო სინათლე, მხოლოდ ცაზე, ხავერდივით გაშლილ ღრუბლებზე, ქალაქის თავზე რომ მისცურავდნენ,- დაეხეტებოდა პროჟექტორთა სინათლეები და საზენიტო ბატარეების ცეცხლოვანი ხაზები მახეს უგებდნენ მტრის თვითმფრინავებს. რა მძიმე იყო ის ღამეები!..

გადიოდა დღეები, თვეები... ადამიანები არ ნებდებოდნენ, მაგრამ შიმშილსა და სიძნელეებს თავისი გაჰქონდა: მწყობრიდან გამოდიოდა ხან ერთი, ხან მეორე... მარგარიტა ჯინჭარაძის ჯერიც მოვიდა. სამი თვე ლოგინზე იყო მიჯაჭვული მწვავე დისტროფიით. ჰოსპიტალიდან თითქმის ძალით გაგზავნეს ქალაქგარეთ სანატორიუმში. ახლა იმ დაბის სახელი აღარც კი ახსოვს, მაგრამ იმ ერთადერთი თავისუფალი დღის მოგონება აქამდეც ცხოვლად შერჩენია. ყველაფერი რაღაც არარეალური, ზღაპრული იყო. ის უჩვეულო სიწყნარეც, მზით გაღადღადებული ტყის ზურმუხტი მდელოებიც და მწვანე ფოთლის ქვეშ შემალული ხასხასა მარწყვიც, რომელსაც პირველად ხედავდა. დაუჯერებელი იყო, რომ სადღაც გრიალებდნენ ზარბაზნები, იღვრებოდა სისხლი, კვდებოდნენ ადამიანები. ის იდგა მოჯადოებული და არ ესმოდა რა ხდებოდა ირგვლივ, როცა ყურში ვიღაცის ხმამაღალი ძახილი ჩასწვდა. მას უხმობდნენ.

— ამხანაგო მაიორო! თქვენს წასაყვანად მოვიდნენ. ჰოსპიტალში თქვენი ძმა მოუყვანიათ!

და ერთ წამში ყველაფერი შეიცვალა. მისი ძმა — პირველი რანგის კაპიტანი მიხეილ ჯინჭარაძე სევასტოპოლთან იბრძოდა. როგორ მოხვდა ლენინგრადში? რა სჭირს? მძიმედ ხომ არ არის დაჭრილი? — ფიქრობდა მარგარიტა. გზას კი ბოლო არ უჩანდა. მხოლოდ ჰოსპიტალში გაიგო, რომ დაჭრილი მისი ბიძაშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ჯინჭარაძე ყოფილა, რომელიც მეორე დამკვრელი არმიის რიგებში ბრძოლით მოიწევდა ლენინგრადისაკენ.

...ალყის მოხსნის შემდეგ ჰოსპიტალი ბელორუსიის მე-3 ფრონტზე გადაიყვანეს. იმ თავისუფალ წუთებში, იშვიათად რომ გამოერეოდა, მარგარიტას უცნობ ქალაქებში ხეტიალი უყვარდა. მის ფეხქვეშ აღმოსავლეთ პრუსია იყო, სხვა სახელმწიფოს მიწა, სხვა ხალხი, სხვა ენა, მაგრამ იგივე საერთო ადამიანური მწუხარება და სიხარული. ადამიანები ნამსხვრევებად ქცეულ შუშაზე დააბიჯებდნენ, ხეები, თითქოს შველას თხოულობენო, ნაჭრილობევ ტოტებს იშვერდნენ, შიშველკედლებიან ნასახლარებში ჩამოფლეთილი ფარდები ირხეოდა.

გადაიქუხეს გამარჯვების სალუტებმა. ომი დამთავრდა, დაბრუნდა შინ მარგარიტა. უკვე თოთხმეტი წელიწადია იგი საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობს — ჯერ უფროსი მეცნიერი მუშაკი იყო, 12 წლის განმავლობაში — ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ახლა კი დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში.

...ფართო, ნათელ სამსართულიან შენობაში სასიკვდილოდ დაჭრილი ავადმყოფები არ წვანან, მაგრამ აქაც შეუპოვარი ბრძოლაა სიცოცხლისათვის, ბრძოლა სნეულებებთან, ზოგჯერ სიკვდილთან ჭიდილიც, ერთი სიტყვით, დაძაბული, შინაარსით აღსავსე შრომა. ომგადახდილ ექიმს ყოველ წუთს ინსტიტუტში შეხვდებით — დღითა და ღამით. მისთვის არც ახლა არსებობს განსაზღვრული სამუშაო და დასვენების საათები, ყოველთვის სიცოცხლის დაცვის სადარაჯოზეა, ყოველთვის მზად არის გაჭირვებულის პირველსავე დაძახილს გულისხმიერად გამოეპასუხოს, დაეხმაროს მას.

მისი ავადმყოფებისაგან ხშირად გაიგონებთ: საკმარისია პატივცემულ მარგარიტას ფეხის ხმა მოგვესმას, რომ უკვე სატკივრის შემსუბუქებას ვგრძნობთ. ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ ავადმყოფებს ჯერათ მისი, ექიმი სულ მათთან ტრიალებს, იცის რა დროს რა გააკეთოს. მას ხომ ისე ღრმად სწამს ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობა, მისი ძლიერება, და უნარიც შესწევს ეს რწმენა სხვასაც ჩაუნერგოს!

მარგარიტა ჯინჭარაძე პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად დიდ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა. 1952 წლიდან მოყოლებული ინსტიტუტის სწავლული მდივანია, 30-მდე სამეცნიერო შრომისა და ხუთი სახელმძღვანელოს ავტორი.

...წლები გადის და ფერი უხუნდება წარსულ მოგონებებს, მაგრამ განა მოგონებები სულ ქრებიან? როცა მარგარიტას კონტრადმირალი ძმა — მიხეილი და ბიძაშვილი გიორგი ჯინჭარაძე — თადარიგის გენერალ-მაიორი, აი ის, ლენინგრადში დაჭრილი რომ მიჰგვარეს, ეწვევიან, შინაურები ხუმრობენ ხოლმე, სამხედრო შტაბი შეიყარაო. ძველი მეომრები გარდასულ დღეებს იგონებენ... იმ დღეებზე ღაღადებენ ჟამთასვლისაგან გაყვითლებული მადლობის ფურცლები, ფრონტის სარდლობისაგან რომ აქვს მიღებული, ორდენები და მედლები, რომლებითაც დაჯილდოებულია მარგარიტა ჯინჭარაძე, თანაპოლკელთა წერილები და მის მიერ გადარჩენილ დაჭრილ მებრძოლთა ბარათები.

და ლენინგრადიც... მარგარიტა ყოველ შვებულებას ამ გმირ ქალაქში ატარებს. ახლა უჭირს მაშინდელი ლენინგრადის — ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის, ყუმბარებით მკერდგადათხრილი, თავდაცვითი ზღუდეებით დაფარული ლენინგრადის წარმოდგენა. იქ სადაც ხალხი სანგრებში ისხდა და ძელმიწურის ამბრაზურებს მოუჩანდათ პირი, ახლა ბაღები გაუშენებიათ ნაირფერადი ყვავილებით. და ღრუბლიან, მოღუშულ დღეებშიც კი ლენინგრადის ცა ნათელია და მშვიდი.

— ასეც უნდა იყოს ამიერიდან უკუნისამდე, — ამბობს მარგარიტა ჯინჭარაძე.

კაცი ომის მთელ საშინელებას რომ გამოცდის, მხოლოდ მაშინ შეიცნობს მშვიდობის ნამდვილ ფასს. ამიტომ არის, რომ მარგარიტა ჯინჭარაძე ყოველ ახალდაბადებული ჩვილის ხელში აყვანისას უპირველესად მშვიდობიან ცხოვრებას უსურვებს მას, უღრუბლო, ომის ხანძრისაგან დაუბინდავს.





მხატვარი თ. ყუბანეიშვილი

# მ. ჯავახიშვილი და ქალთა საკითხი

ქართულ მწერლობაში ქალს იმთავითვე დიდი ადგილი ეკავა. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ლიტერატურულ ძეგლშივე მთავარი გმირი — შუშანიკი მაღალი ზნეობის, ქედ-უხრელი, საზოგადოების აქტიური წევრი და მისი ინტერესებისათვის თავდადებული ქალია. რუსთაველის ნესტანი და თინათინი, ბარათაშვილის სოფიო, ილიას ქართვლის დედა და ოთარაანთ ქვრივი, ვაჟას სანათა და ლელა, მრავალი სხვა ქართველი ქალის სახე ჩვენს მწერლობას ელვარებასა და სხივოსნობას მატებს, მის შინაარსს ღრმასა და მიმზიდველს ხდის.

ამ მხრივ ქართულმა ლიტერატურამ შესა-ნიშნავი ტრადიცია შექმნა. მან ქალს დიდი ადგილი დაუთმო და იგი გვიჩვენა არამარ-ტო მშვენიერ არსებად და ტრფიალების საგ-ნად, არამედ, უპირველესად ყოვლისა, სა-ზოგადოების აქტიურ ძალად, მამაკაცის გვერდში მდგომ მებრძოლად.

მიხეილ ჯავახიშვილმა კარგად შეითვისა წინამორბედი მწერლების მიერ შექმნილი ტრადიცია და კიდევ უფრო ფართოდ დაგ-ვიხატა ქალის ადგილი საზოგადოებაში. მან ქალი გვიჩვენა არამარტო მხატვრულ ნაწარ-მოებებში, თავის პუბლიცისტურ წერილებ-შიც ძალზე მკაფიოდ და სამართლიანად დააყენა ქალთა ემანსიპაციის საკითხი, და-ასაბუთა, რომ დროა ქალმა ადამიანთა საზო-გადოებაში დაიკავოს ისეთივე ადგილი, რო-გორიც მამაკაცს უკავია. ამავე დროს ისიც კარგად დაგვანახვა, რომ თუ საკითხი ასე გადაიჭრება, გაკეთდება არა მხოლოდ ქა-ლების საქმე, არამედ ეს სასარგებლო იქნე-ბა მთელი საზოგადოებისათვის.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ახალ-გაზრდა მწერალი მ. ჯავახიშვილი წერს და აქვეყნებს რამდენიმე პუბლიცისტურ წე-რილს, რომლებშიც ქალთა საკითხი საგანგე-ბოდ დგას.

ამ წერილების საერთო დამახასიათებელი ნიშანია საკითხის ზედმიწევნით ცოდნა მსო-ფლიო მასშტაბით, მგზნებარება და მარ-თებული გადაწყვეტა. წერილში—„ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“—ავტორი მიმოიხი-ლავს საერთოდ ქალთა მოძრაობის ისტო-რიას მსოფლიო მასშტაბით და ხსნის იმ მიზეზებს, რომლებმაც წარმოშვა და გა-ნაპირობა ქალთა მოძრაობა.

ქალის დაბეჩავების მიზეზად, რომელიც წინა საუკუნეებში არსებობდა, ავტორი თვლის ძლიერის უფლებას სუსტზე. მაგრამ ეს უსამართლობა არისო, აცხადებს მ. ჯავა-ხიშვილი. შემდეგ გამოთქვამს იმედს, რომ „თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძა-ლის უფლებას და, იმედია, ერთ დროს სრუ-ლიად მოსპობს მას“.

ამავე წერილში მ. ჯავახიშვილი მიმოიხი-ლავს ქალთა მოძრაობის ისტორიას საფრან-გეთში, ინგლისში, გერმანიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში.

საფრანგეთში ამ საკითხის ისტორია და-კავშირებულია დიდ რევოლუციასთან. ქა-ლებმა კარგად ისარგებლეს რევოლუციის დროს საერთო გატაცებით და ხმამაღლა მო-ითხოვეს თავიანთი ადამიანური უფლებებიო, წერს ავტორი. ფრანგი ქალები აჰყვნენ მა-

მამაკაცების მაგალითს და შეადგინეს საკუთარი — „დედაკაცის უფლებათა დეკლარაცია“, დაარსეს საკუთარი კლუბი და შეუდგნენ აგიტაციას. მათ მოძრაობას მიმხრობია ფილოსოფოსი კონდორსე, რომელსაც შემდეგი აზრი გამოუთქვამს: „რომელი პრინციპისა და რომელი უფლების ძალით ჩამოაშორებენ დედაკაცს რესპუბლიკურ სახელმწიფოში? საერთო წარმომადგენლობა ნიშნავს მთელი ერის წარმომადგენლობას. მაგრამ განა დედაკაცი ერის ნაწილი არ არის?“

წერილში შემდეგ განხილულია ქალთა მოძრაობის ისტორია ინგლისში, რომელსაც ავტორის აზრით, პირველობა ეკუთვნის. „ჯერ კიდევ XVII საუკუნეში „რობინზონ კრუზოს“ ავტორმა დანიელ დეფომ ქალების უფლებათა დასაცავად გამოსცა შესანიშნავი პამფლეტი, რომელმაც დიდი აყალ-მაყალი და მითქმა-მოთქმა ატეხა მთელ ინგლისში“.

ამერიკაში ქალთა მოძრაობის საკითხს მ. ჯავახიშვილი უკავშირებს რევოლუციას და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიას: „ქალთა მოძრაობის დასაწყისი ჩრდილოეთ ამერიკაში იყო იქაური რევოლუცია — განმათავისუფლებელი ომი ინგლისთან. იმ დროს დედაკაცი და მამაკაცი შეერთდნენ, ერთ არსებად გადაიქცნენ და მხოლოდ იმაზედა ფიქრობდნენ, რომ ამერიკა ინგლისელებისაგან გაეთავისუფლებინათ და თავიანთ ქვეყანაში თავისუფლება დაემყარებინათ. მამაკაცი თოფით ხელში იბრძოდა, დედაკაცი კი თოფის პატრონებს ამზადებდა, ოჯახსაც უვლიდა და ამასთანავე არავითარ ხიფათს არ ერიდებოდა, ოღონდ თავისი სამშობლო დამოუკიდებელი და თავისუფალი გაეხადა“.

საკითხის ისტორიიდან ავტორს მოაქვს ზოგიერთი დეტალური ფაქტიც. მაგალითად, ასეთი: „1784 წელს ახალი ზელანდიის პრეზიდენტმა ადამსმა კონგრესის დროს შემდეგი წერილი მიიღო თავისი ცოლისაგან: „ჩვენ გვინდა, რომ თქვენ, მამაკაცებმა, თქვენს წინაპრებზე მეტი დიდსულოვნება გამოიჩინოთ. ნუ აძლევთ მამაკაცებს განუსაზღვრელ უფლებებს, თორემ ყველა მამაკაცი ჯალათად გადაიქცევაო“.

შემდეგ წერილში („დედაკაცი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში“) მოთხრობილია იმის შესახებ, თუ პრეზიდენტის ცოლს როგორ მიემხრნენ სხვა ქალებიც, როგორ შექმნეს ქალთა საზოგადოებები, ქალთა პრესა, როგორ გაშალეს ქალთა ემანსიპაციის სასარგებლო აგიტაცია. მალე ამ საქმიანობამ ფართო ხასიათი მიიღო, მოედო ყველა შტატს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ქალებმა მალე მოიპოვეს საარჩევნო უფლებები. საუნივერსიტეტო განათლების უფლება, ქონების ფლობის უფლება და ა. შ.“

მ. ჯავახიშვილს ზემოაღნიშნულ წერილში მოაქვს სტატისტიკური ცნობებიც კი იმის შესახებ, თუ ქალთა ამ ბრძოლას რა პროგრესი მოჰყვა და ყოველივე ამის შედეგად ამერიკაში რამდენი ქალია მწერალი, მასწავლებელი, დეპუტატი, არტისტი, ჟურნალისტი, ექიმი და ვექილი.

ავსტრალიაში ეს საკითხი თავისებურად მდგარა. ამის შესახებ მ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს როგორც ზემოაღნიშნულ წერილში, ისე სპეციალურად ამ ქვეყნის ქალთა მოძრაობისადმი მიძღვნილ წერილში „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“.

ავსტრალიაში ქალთა მოძრაობა დაუწყიათ არა ქალებს, არამედ მამაკაცებს, რათა ხმების უმეტესობა მიეღოთ პარლამენტში. ვრიეს სამინისტროს 1878 წელს თვითონ შეუტანია კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას. ამ პროექტს ბევრი მტრულად შეხვედრია.

მ. ჯავახიშვილის ამ პუბლიცისტური წერილების საერთო მიმართულება ისაა, რომ იგი თავგამოდებით ეწევა ქალთა უფლებების გაფართოების სასარგებლო პროპაგანდას, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის გაღვიძებას ამ საკითხში და თავისი ქვეყნის ქალთა უფლებების გაფართოებას.

მხატვრულ ნაწარმოებებში მ. ჯავახიშვილი ქალის საკითხს პირველად შეეხო თავის მცირე ფორმის დრამატულ ნაწარმოებსა თუ ფელეტონში, რომელსაც „ოჯახი“ ეწოდება. აქ ოჯახის წევრები — მამა, ვაჟები, ქალიშვილი — სხვადასხვა პარტიებს ეკუთვნიან. მხოლოდ დედაა უპარტიო. ოჯახის წევრებს შორის მუდმივი დავა და ჩხუბია პარტიულ საკითხებზე, ყოველი მათგანი თავის პოზიციას იცავს. ასევე იქცევა ქალიშვილიც. სწორედ იგია პირველი გმირი ქალი, რომელიც მ. ჯავახიშვილმა აქტიურ მებრძოლად გამოიყვანა თავის მხატვრულ ნაწარმოებში.

შეიძლება ითქვას, რომ „ოჯახი“ პირველი ჩანასახია შემდეგში დაწერილი რომანისა „ქალის ტვირთი“, რომელშიც გამოყვანილი ახატნელების ოჯახი ძალიან ჰგავს იმ „ოჯახს“.

„ქალის ტვირთი“ ჩვენს მიერ დასმული საკითხისათვის მრავალმხრივ არის საინტერესო. დავიწყოთ რომანის სათაურიდან. მას „ქალის ტვირთი“ ეწოდება, ე. ი. მწერალი მიზნად ისახავს გვიჩვენოს ქალის დიდი წვლილი, მისი ტვირთი საზოგადოების განვითარებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართლაც, ქეთო ახატნელს დიდი ტვირთი დააწვა. იგი თავადის ქალია, მაგრამ გულმა რევოლუციისაკენ გაუწია, რადგან იგრძნო, რომ სიმართლე მის მხარეზეა. ქეთოს გატაცებები მოკლებული არ არის რომანტიკას, მაგრამ იგი რეალურ მოქმედებას არ გაურბის. ანდა, ავიღოთ, მართა — ეს მშვენიერი მშრომელი ქალი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის ადამიანური ცხოვრების მოპოვებისათვის.

რომანი „ქალის ტვირთი“ იმითაცაა საყურადღებო, რომ ქალის საკითხი აქ სხვაგვარადაც არის დასმული. გაიხსენეთ ზურაბ გურგენიძის მოხსენება კრებაზე, სადაც იგი ქალთა უფლებებზე ლაპარაკობს და მსმენელი ქალების, მათ შორის, ქეთო ახატნელის აღფრთოვანებას გამოიწვევს.

ეს საკითხი მიხეილ ჯავახიშვილმა მხატვრულად გადაჭრა სხვა ნაწარმოებებშიც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია „არსენა მარაბდელს“. მასში გამოყვანილია ორი ცოცხალი, მოქმედი, ხორცშესხმული, გაბედული მებრძოლი ქალი, რომლებიც მკითხველმა ასე შეიყვარა და თავის მეხსიერებაში წარუშლელად დატოვა, ესენია მაგდა და ფიქრია.

გაიხსენეთ მაგდა, როგორი გაავებით იბრძვის იგი მოძალადე სალდათების წინააღმდეგ, რათა დაიცვას ნამუსი და ღირსება, გაიხსენეთ, როგორ მიუძღვის იგი — შავი ანგელოზი, ტყეში გასულ გმირებს, რათა შური იძიოს მოძალადე, ავყია ზაალზე. როგორი განრისხებული, გაავებული, გამეხებულია ეს ქალი! რა ძალა მოუკრეფია, რა გაბედულება შეუძენია, რა უშიშარი გამხდარა, რა გმირული სული ჩამდგარა მის ქალურ სხეულში!

მაგდა ერთ-ერთი იმ ქალთაგანია, რომლის სახეც ასე სრულყოფილად გამოძერწა ქართულმა მწერლობამ. მაგდას არ ჩამორჩება ფიქრია ოძელაშვილი, გმირი ძმის ღირსეული და. ფიქრიას მკერდში უცემს ოძელაანთ გული, სიმართლისა და სახელისათვის მებრძოლი პაპის, ცალთვალა დევის (მამის) და გმირი არსენას გული. იგი ხშირად ვაჟკაცობაში მამაკაცებს უტოლდება და მაინც ქალად რჩება ამ სიტყვის ლამაზი, მშვენიერი მნიშვნელობით.

მაგდა და ფიქრია მ. ჯავახიშვილმა სრულიად შეგნებულად და შორსმიმავალი ზრახვით დახატა ასეთებად. მათ კაცებთან ერთად მისცა დიდი სამოქმედო ასპარეზი და მათთან ერთად აბრძოლა ისინი ქვეყნის, ერის ცხოვრების პირობების შესაცვლელად, უკეთესი, ადამიანისათვის ღირსეული მერმისის შესაქმნელად. ამ ორი სახის დახატვით მ. ჯავახიშვილმა მხატვრული საშუალებებით გასცა პასუხი იმ კითხვებზე, რომლებსაც იგი ადრე აყენებდა და პასუხობდა თავის პუბლიცისტურ წერილებში.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ქალთა საკითხი უფრო დაწვრილებითი ანალიზის საგანია. მაგრამ ამ მცირე წერილითაც ნათელი ხდება, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა მწერალი ქალის როლს საზოგადოებაში, რა აქტიურ და დიდ ძალად მიაჩნდა იგი და როგორ გვიჩვენებდა ქალს თავის შემოქმედებაში.

ტარიელ კვანჭილაშვილი



8514

# ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მქვეყნიური სამოთხე, დაკიდული წალკოტი...

სემირამიდები დიდიხანია აღარ არის, იგი ლეგენდად დარჩა, რომელსაც ახლა ტურისტები იგონებენ აქ, ბაბილონში — ამ დამსკდარ და გადატრუსულ მიწაზე, სადაც დღეს ბალახსაც ვერ გაუდგამს ფესვი.

ათას ერთი ღამის განმავლობაში უყვებოდა ზღაპრებს შეჰერეზადა მრისხანე შაჰრიარს აქ, ტიგროსის პირას ბაღდადის სასახლეში.

აქ, ამ მიწაზე იყოო მძლავრი სახელმწიფოები ასურეთისა და ქალდეასი, ამას ამბობენ ციხის და ქალაქის ძველი ძეგლები...

საუკუნეები საუკუნეებს გაჰყვა, ჟამთა სიავემ ყველაფერი შეცვალა აქ, ტიგროსისა და ევფრატის გარდა, ისინი ძველებურად მოედინებიან, ყველაფრის მომსწრენი...




ხმაურია ირგვლივ, მანქანები და ადამიანები ბუზებივით ირევიან, ყველა ქუჩაზე, ყოველ კუთხეში გაცხოველებული ვაჭრობაა.

მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და ღამის კლუბები გაბდღვრიალებულია ნეონის შუქით, რეკლამები ფარავს ყველაფერს.

...მანქანა მიქრის, იცვლება მისი ფერი; ხან ცისფერია, ხან ლურჯი, ხან წითელი. მერე მანქანა ქრება და ჩნდება წარწერა: „იყიდეთ შევროლეტი, შევროლეტი ყველაზე კარგი ფირმაა მსოფლიოში..."

...აი აბაზანაში ცვივა თეთრეული, ცვივა ფხვნილი ლამაზად გაფორმებული ყუთიდან, მერე ქაფი ფარავს ყველაფერს, აბაზანიდან ცეკვით ამოდიან სუფთა პერანგები. ეს საოცრება „ტაიტია"—სარეცხის ფხვნილი — „სასწაულმოქმედი", რეკლამა რეკლამას ეჯიბრება, ფირმა ფირმას, ნაწილობრივ აღწევენ კიდეც მიზანს.

ერაყელი მილიონერების ქალიშვილები წელს მხოლოდ შევროლეტს ყიდულობენ.

უნივერსალური მაღაზიის „რაზდიბეგის" შესასვლელთან, ქვაფენილზე წევს ქალი, შვილი ძუძუს წოვს, მეორე, მოზრდილი შავთვალა ბიჭი კი გამვლელ-გამომვლელს უწვდის ხელს და გულსაკლავად ევედრება:

— ბახშიშ, მისტერ, ბახშიშ!*

ხალხი მიდის ქვაფენილზე, მიდის, გვერდს უვლის ქუჩაში უპატრონოდ დაგდებულ ავადმყოფ ქალს და ყურადღებას არ აქცევს, არ აქცევს იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა „აღმოსავლური ზღაპრების" ქალაქში.

ბაღდადი კონტრასტების ქალაქია; ერთსა და იმავე ქუჩაზე თქვენ ნახავთ სიმდიდრესაც და სიღატაკესაც, ჭუჭყსაც და კომფორტსაც.

...უახლესი სტილით აშენებული მდიდრის სახლი. სახლს მაღალი მესერი აქვს შემოვლებული. მესერს გადაღმა თვალს იტაცებს მოვლილი ეზო, გაზონებითა და ყვავილნარებით დამშვენებული... და იქვე, ამ სახლის გვერდით სულს ღაფავს ალიზით ნაშენი ქოხმახი. ჭუჭყისაგან გაშავებული, თითქმის ტიტველი ბავშვები ქოხის წინ ჭუჭყიან წუმპეში თამაშობენ. ქალები შავი მოსასხამებით იქვე სხედან, ხელში ჩვილი ბავშვებით, იქექებიან, იფურთხებიან და უაზროდ გასცქერიან გზას. ამ გზით მიდიან უთენია მათი ქმრები სამუშაოს საძებნელად.

ბავშვები ფხიზლობენ, როგორც კი გამოჩნდება მდიდრის კარებთან ვინმე, გარს ეხვევიან და მოწყალებას სთხოვენ.

მოწყალების ნაცვლად ღებულობენ სილას და პანღურს.




მათ გაჭირვებაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ ნახავ, ძნელია წარმოიდგინო ის არაადამიანური ცხოვრების პირობები, რასაც განიცდის სოფლის გლეხობა ან როგორც იქ ეძახიან ფელახები...

მდინარეების ახლოს ვინც ცხოვრობს, კიდევ არა უჭირს რა. სასმელი წყალი მაინც აქვს. გამოუვალ მდგომარეობაში მდინარეებისაგან მოშორებული სოფლები იმყოფება. იანვრიდან დაწყებული მაისის შუა რიცხვებამდე ჭის წყალს სვამენ. წყალი მლაშეა და უგემური. მაგრამ წყალი ხომაა და გემოვნებას ვიღა დაგიდევთ.

როგორც კი დაიწყება ნამდვილი „არაბული" სიცხეები (ზაფხულში ტემპერატურა აღწევს 50 გრადუსამდე ჩრდილში), ჭები შრება და იწყება მომქანცველი სიარული წყალზე.

ცხოვრებამ ყოველმხრივ დაჩაგრა ფელახის ცოლი, ძაღლური სიცოცხლე არგუნა ბედად, ყველაფერი მის წინააღმდეგაა: კანონი, რელიგია და თავად ცხოვრება. ქალი ქმრის მონაა, ქალმა უნდა იმუშაოს, ქალმა უნდა ზარდოს ბავშვები, დაემორჩილოს ქმრის ყველა სურვილს.

ხშირად ვყოფილვართ მოწამე ასეთი სურათისა:

პაპანაქება სიცხეა. მტვრიან გზაზე მოდის ქალი, ზურგზე წყლით სავსე უზარმაზარი სპილენძის თუნგით. იგი სიმძიმისაგან ოთხად მოკეცილა და ძლივს მილასლასებს... გულსაკლავი სანახაობაა...




ამშე თექვსმეტი წლისაა. იგი ჩვენი ბანაკის ახლოს ცხოვრობს, ტიგროსის ნაპირთან სახელდახელოდ გაკეთებულ სარიფში (ქოხში).

საბჭოთა გეოლოგები ვმუშაობთ ტიგროსის პირას, ვბურღავთ კლდეს, ვიკვლევთ საყრდენს მომავალი კაშხალისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა უნდა ააშენოს ერაყისათვის.

ამშე ყოველ დილით ჩამოდის წყალზე, ჩამოაქვს დასარეცხი ჭურჭელი და ძალიან მაღალი სპილენძის თუნგი.

სახე აქვს ნაყვავილარი, შუბლი და ლოყები ტატუირებული, ცხვირში ვარდა (სპილენძის სამკაული) აქვს გაყრილი, ყურის ბიბილოებში — უხეში საყურეები. შიშველი შავი ფეხის ქუსლები დახეთქია და ნასკდომები მტვრითა და ჭუჭყით ამოვსებია.



ავმა სენმა მის სახეზე სამუდამოდ დასტოვა კვალი... ავმა ხელმა უწყალოდ დაჩხვლიტა, გახურებული ნემსებით დასწვა და გააუხეშა მისი სახის სათუთი კანი. მაინც ლამაზია ამშე. ლამაზია მისი სახის ნაკვთები, მაყვალივით შავი, ცოცხალი თვალები, მოქნილი ტანი, შველივით მოღერებული კისერი.

...ეს იყო აპრილის თვეში. აპრილში მესაპოტამიის დაბლობი მწვანე სამოსით იფარება, ჩნდება ხავერდოვანი ყაყაჩოები და თეთრკაბა გვირილები. მე და არაბი მუშა ახმადი ბურღილის წინ ვისხედით; საწვავი არ გვქონდა და ცისტერნის მოსვლას ვუცდიდით. მოულოდნელად სარიფის კარებთან ამშე გამოჩნდა. მას შინდისფერი კაბა და ღია ცისფერი შარვალი ეცვა, მხარზე სპილენძის თუნგი შეედგა და ტანისრხევით მდინარისაკენ მიდიოდა.

ახმადი ფერწასული მისჩერებოდა მიმავალს.

ამშე მიეფარა ბორცვს...

— ოი, ალლახ! — თითქოს გული უნდა ამოიტანოსო, ისე ამოიოხრა ახმადმა.

— გიყვარს! — შევეკითხე მე.

ახმადმა თავისი დიდრონი, სევდიანი თვალებით შემომხედა და თავი დამიქნია.

— მერე?

— მაკუ ფლუს (ფული არა მაქვს).

ფული! ფული თუ არა გაქვს, ცოლის შერთვაზე ფიქრიც ზედმეტია. დიდი საქმე რომ გიყვარს, სიყვარულია განა საკმარისი?! მთავარი ფულია, ფული ყიდულობს ყველაფერს და მათ შორის ცოლსაც.

ამშე დიდი ხანია იყიდა სოფელ სალახის შეიხმა აბდელ ამირმა. შეიხი სამოცი წლისაა და ჰყავს ოთხი ცოლი, ამშე იქნება მეხუთე...

„რა მდიდარი კაციაო", — ამბობენ შეიხზე.



ისინი დადიან სოფლიდან სოფელში, ერთი დასახლებული ადგილიდან მეორემდე, არაბები მოხეტიალე მსახიობებს ეძახიან მათ. ფორნები სავსეა საოჯახო ნივთებითა და ადამიანებით. ქალები და ბავშვები ფორნებში სხედან, კაცები ცხენებს მიუძღვებიან. სოფლის ბოლოს შესაფერ ადგილს ამოირჩევენ და კარვებს გაშლიან. კაცები გააბოლებენ ჰაშიშს. ქალები დაიწყებენ სადილის მომზადებას, მიდიან წყალზე, თავზე შედგმული დიდი კასრებით.

დანაყრდებიან, მოედებიან სოფელს, აჩვენებენ ცეკვას „მუცლით". ხალხი ყოველთვის ბევრია მათ წარმოდგენებზე, ბახშიშს (მოწყალებას) კი თითქმის არავინ არ იძლევა, ხალხს თავად არაფერი აქვს.

საღამოს ბრუნდებიან ბანაკში დაღლილები, კაცები დასხდებიან კარვის წინ, ანთებენ დიდ ცეცხლს და აბოლებენ ჰაშიშს...

ქალები ითხუპნებიან ფერუმარილითა და პომადით, შლიან ატლასის საბნებს, ანთებენ წითელ სინათლეს.

ბანაკს ღამით სხვა სახელს „კავალიეს" უწოდებენ, რაც ჩვენებურად საროსკიპოს ნიშნავს.

ღამის შემოსავლით არსებობენ მოხეტიალე მსახიობები...

ჩვენი ბანაკის ახლოს გადის მოასფალტებული გზა. იგი მიჰყვება ნავთსადენ მილებს ბეირუთამდე. ბეირუთში ერაყის ნავთი ავსებს დიდი გემების ფართოტევად ცისტერნებს.

მდიდარია ერაყის მიწა ნავთით, რომელსაც დიდიხანია გაუჩნდა უცხო პატრონი ინგლისელების სახით.

დღესდღეობით ნამდვილი სურათი ასეთია: მთელი შემოსავლის სამოცი პროცენტი ინგლისს, ნამდვილ პატრონს — ორმოცი.

ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გაისმის ჯანსაღი ხმები, ხალხი მოითხოვს ნავთის კომპანიის სრულ ნაციონალიზაციას. ამის საპასუხოდ მთავრობამ წელს ფასები აუწია ნავთის პროდუქტებს.

მანქანის მძღოლებმა პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს, გაფიცულებს მხარი დაუჭირა „არაბ ქალთა ასოციაციამ", რომელმაც დემონსტრაციები გამართა ბაღდადში.

დიახ, ამა წლის მაისის თვეში ბაღდადის ქუჩებში გამოვიდა ზღვა ხალხი და მტკიცედ მოითხოვა ეროვნული უფლებების აღდგენა, ინგლისელების სრული განდევნა, ნავთის პროდუქტებზე ფასების დაკლება. ყველა გადასასვლელთან და ხიდების ყურეებთან იდგა ჯავშნიანი მანქანები და შეიარაღებული არმიელები. გაფიცვა ერთ კვირას გაგრძელდა, მაგრამ რა გამოვიდა!

ხალხმა მართალია თავიდან მოიშორა ყოფილი პრემიერ მინისტრი, ჯალათი, ინგლისელების დაქირავებული ლაქია ნური საიდი, მაგრამ მისი მინისტრები დღესაც განაგებენ ხალხის ბედიღბალს.

ხალხს ძულს ინგლისელი კოლონიზატორები და ყველა უცხოელი, ვინც გამორჩენის მიზნით მოდის მათ ქვეყანაში.

კეთილი, შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარეა ერაყელი ხალხი, და თუ უმეტესობა აუტანელ მატერიალურ სივიწროვეს განიცდის, ამას თავისი მიზეზები აქვს, რომლის გამოსწორება თვით ხალხზეა დამოკიდებული.

ოთარ გოგრონიძე.

ბაღდადი, 1961 წლის ივლისი.

* მოწყალება მოიღეთ, ბატონო, მოწყალება!



# საფო მგელაძე

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ხოლმე არავის, ვისაც კი მის სულიერ ცხოვრებაში ერთგვარი როლი შეუსრულებია, თავისი ძალღონე არ დაუზოგავს და კულტურის დიდებული შენობის აგებისას თავისი აგური მიუტანია. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მწერალი ქალი საფო მგელაძე. მას საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჰქონდა და საინტერესო წიგნებიც დაუტოვა თაობებს. საფო იყო მეტად რომანტიკულად განწყობილი ადამიანი და, ბუნებრივია, მის ნაწარმოებებშიც მუდამ იგრძნობოდა ეს რომანტიკული მღელვარება. „მე ჩემს თავს მუდამ ქარიშხლიან ზღვაში ვგრძნობ, მუდამ ტალღის ბობოქარ ქეჩოზე ვარ მოქცეულიო“, ეს თვით მწერლის სიტყვებია და აქ ჩანს მისი სული.

ქვეყანაზე ყველაზე მგრძნობიარე და ყველაზე სათუთი მკითხველი მწერლის წიგნისა ეს ახალგაზრდობაა, და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფო მგელაძეს დაპყრობილი ჰქონდა გული იმდროინდელი ახალგაზრდობისა; მე აქ მარტო ერთ მაგალითს დავასახელებ — გავიხსენებ ლადო ასათიანის წერილებს საფო მგელაძისადმი. ლადო მაშინ არ იყო ცნობილი პოეტი, სულ პატარა ბიჭი იყო, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი. საფო მგელაძეს ჯერ პირადად არ შეხვედროდა, მაგრამ, აბა, ერთი ნახეთ რა წერილებსა სწერს მწერალ ქალს, რა ლექსს უძღვნის, როგორი აღტაცებულია მისი „ლიანა ლორდიათი“ და თავის მეგობარ გოგონებში, თავის თანაკლასელებში ეძებს ადამიანებს, რომ მწერლის პერსონაჟებს შეუდაროს.

„თქვენს წიგნებს სიხარულით ვკითხულობთ, — წერს ლადო, — მიუხედავად მათი ცალკეული ნაკლოვანებებისა, თქვენს ლიანას აღმერთებენ ჩვენი სასწავლებლის გოგონები და ვაჟები... ძვირფასო მწერალო! თქვენი წერილები წავიკითხეთ მეგობრულ წრეში და უფრო გაგვიასკეცდა სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი.“

„სიყვარულის წიგნის საყვარელ ოსტატს“ უწოდებს ლადო ასათიანი საფო მგელაძეს და იქვე დაასკვნის: „ეს ქათინაური არ გეგონოთ, აქ ნამდვილი გრძნობები ლაპარაკობენ, სიჭაბუკის ხანაში დაჭარმაგებულიო.“ ძნელია არ დაეთანხმოთ ამ შეფასებას —საფო მგელაძის წიგნებში მუდამ ჩანდა რაღაც საოცრად სპეტაკი და კდემამოსილი გრძნობა სიყვარულისა და სწორედ ეს ხიბლავდა ახალგაზრდა მკითხველს. „თქვენი „ლიანა“ უბით დამაქვს“, წერდა ლადო და, ვინ მოსთვლის, რამდენ მაშინდელ ახალგაზრდა მკითხველს შეეძლო განემეორებინა ეს სიტყვები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფო მგელაძის ნაწარმოებებში მუდამ იგრძნობოდა რომანტიკული სწრაფვა წინ, ძიება უფრო ლამაზისა, კეთილისა... ეს ჩანს მის ბიოგრაფიაშიც. ამასთან ერთად, რაღაც სულიერი ტრაგიზმის ხაზიც გასდევს მთელ მის ცხოვრებას ბავშვობიდან უკანასკნელ დღეებამდე.

„თქვენ ალბათ გაინტერესებთ როგორ და რა პირობებში აღვიზარდე, — წერდა საფო, — მამაჩემი სოფლის მასწავლებელი იყო. ამას გარდა, იყო უზომოდ სტუმართმოყვარე და მოლხენის მოყვარული. დედაჩემი იყო იმერელი ხუცესის ქალიშვილი, ის კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და ჯერ ისევ ხუთი წლის ბავშვს „ვეფხის ტყაოსანს“ მიკითხავდა. ხან გადაჭარბებული ალერსი იცოდა, ხანაც გადაჭარბებული ტუქსვა. ჩემს მშობლებს აჩემებული ჰქონდათ: „ერთი შვილი გვყავს და ამას ვერ მოვიშორებთო“, და მართლაც სოფლის ორი კლასი რომ დავამთავრე, თორმეტი წლის ბავშვი დამსვეს სახლში, ჩამაცვეს კუდიანი კაბა და გარეთ აღარ გამახედეს. გაიარა სამმა თუ ოთხმა წელმა და დაიწყეს ჩვენს სახლში სიარული სოფლის მაჭანკლებმა, რომლებიც მე ჭირივით მეჯავრებოდა. ერთ წელიწადს ვითმინე ყველაფერი ეს, მერე ავიღე იოდით სავსე შუშა ხელში და დედას ტირილით ვუთხარი:

— თუ ქუთაისში არ წამიყვანთ და არ მასწავლით, თავს მოვიკლავ-მეთქი, მუქარამ გასჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ მე და დედაჩემი ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ...“

მაგრამ საფო ოჯახური მდგომარეობის გამო კვლავ სოფელს უბრუნდება და მალე თხოვდება კიდეც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საფო მგელაძის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს რომ ვკითხულობდი, უნებურად იბსენის ნორა გამახსენდა, ვიგრძენი საოცარი თრთოლვა ქალის გულისა, რომელიც ვერ ეტევა ვიწრო ფარგლებში და ფართო საზოგადო ასპარეზზე გაჭრა სწყურია. საფო სულ ისწრაფვის თბილისისაკენ, საქართველოს დედაქალაქისაკენ, ენატრება ხილვა სახელგანთქმული მწერლებისა, თითონაც უკვე წერს და გრძნობს, რომ მის სიტყვასაც ფასს დასდებს მკითხველი და ამიტომ ეძებს გზას იმ მკითხველთან მისასვლელად.

საფო მართლაც სულ მალე ჩამოდის თბილისში და აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებაში ებმება.

ამ პატარა წერილში ძნელია საფო მგელაძის ნაწარმოებების ვრცელი დახასიათება — ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ნაწარმოებებში ჩანს დიდი გულწრფელობა და უშუალობა, ჩანს სულიერი სიწმინდე და შინაგანი სიმართლე. ეს ნაწარმოებები ჰიმნია თავისუფალი ქალისადმი, რომელსაც საბჭოთა ეპოქამ გაუხსნა ფართო გზა ნათელი მომავლისაკენ, მაღალი ადამიანური ცხოვრებისასაკენ.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში საფო მგელაძე უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო; იმ ხანებში მე და დიმიტრი ბენაშვილი თბილისში სულ რაღაც ორი-სამი წლის ჩამოსულები ვიყავით, თუმცა უკვე არაერთი წერილი გვქონდა გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. და, აი, ერთ დღეს მე და დიმიტრიმ მივიღეთ საფოს წერილი:

„ამხანაგებო! თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: „ფედერაციაში“ (ასე ერქვა წინათ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ — გ. ნ.) შევიტანე განცხადება ჩემი მოთხრობების გამოცემის თაობაზე, იქ მთხოვეს წაიკითხოს ვინმემო და მე დაგასახელეთ თქვენ, ორივენი. ორი მოთხრობა დაბეჭდილია, ორიც დაუბეჭდავი. წაიკითხეთ, თუ ჩემი მეგობრები ხართ, ძმა-მეგობრები, მიუკერძოებლად თქვით თქვენი აზრი...“

ჩვენ მეორე დღესვე მივედით ხელოვნების სასახლეში, როგორც მაშინ ეძახდნენ მწერალთა კავშირის სახლს, მივედით ნინო კლდიაშვილთან, ვისთანაც საფოს თავისი ახლად გამოსაცემი წიგნი დაეტოვებინა (ნინო ხომ ჩვენი მწერალთა კავშირის ცოცხალი მატიანეა, ყველა თაობის მწერლის ძიძა და ყველასადმი გულშემატკივარი და მზრუნველი). მან გადმოგვცა საფოს წიგნი და ჩვენ მართლაც მიუკერძოებელი რეცენზია წარვუდგინეთ გამომცემლობას. მოთხრობების ეს წიგნი მალე გამოიცა კიდეც.

და აი, ახლა, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, კვლავ რომ გადავხედე იმ წერილს, გადავხედე საფოს ლექსებსა და მოთხრობებს, ჩემს თვალწინ თითქოს გაცოცხლდა ეს შესანიშნავი მწერალი და ადამიანი, მუდამ აღტაცებული, მუდამ აღგზნებული საფო. შეიძლება მის ნაწარმოებებში ახლანდელ მკითხველს ზოგი რამ გულუბრყვილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ვერავინ ვერ დაეჭვდება მწერლის ტალანტში, იმაში, რომ მას ჰქონდა ნათელი შეგრძნება ცხოვრების სიმართლისა, უყვარდა ჭეშმარიტება, უყვარდა ყველაფერი, რაც ლამაზი და სათნოა ამ ქვეყანაზე. ამ გრძნობას იგი თავის წიგნებში მარჯვედ და კარგად გამოხატავდა. და სწორედ ამის გამო მას უფლება აქვს კვლავაც წარსდგეს ქართველი საბჭოთა მკითხველის წინაშე.

გიორგი ნატროშვილი

# დედას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერმონტოვის ქუჩის კიბე,
ძველი საყდრის კარი.
მაგონდება ამ ბილიკზე
მომავალი ქალი.

დღესაც ღვივის მისი ლექსის
თბილი ნაღვერდალი,
დღესაც ღვივის მისი სიტყვა,
ფიქრთა ნატერფალი.

უხდებოდა ქერა თმებში
შეპარული ვერცხლი,
მუდამ ენთო მის თვალებში
პოეზიის ცეცხლი.

შვილებივით თან დასდევდა
ლექსები და ფიქრი,
გული ისე სუფთა ჰქონდა
როგორც თოვლის ფიფქი.

ვაკის ახალ პანთეონში,
ოთხი ნაძვის ჩრდილში,
მიმორბიან დრო და ჟამი
მარადიულ ძილში.

ვარსკვლავები დაქათქათებს,
ამკობს შუქი მთვარის.
მიმობნეულ ხრიზანტემებს
წეწავს ანცი ქარი...

ლერმონტოვის ქუჩის კიბე,
ძველი საყდრის კარი,
აღარ დადის ამ ბილიკზე
დღეს პოეტი ქალი.
მაგრამ ღვივის მისი ლექსის
თბილი ნაღვერდალი,
მაგრამ ღვივის მისი სიტყვა
ფიქრთა ნატერფალი.

შუშანა მგელაძე

# სახელგანთქმული მეჭარხლე

კოლმეურნე ვალია მეტრეველმა წლების მანძილზე დაუღალავი შრომით მოწინავე მეჭარხლის სახელი დაიმსახურა. 1959 წელს ის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. შემდეგ ვალია უფრო მეტი მონდომებით იბრძოდა საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვისათვის.

გასულ წელს ვალიამ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა საგრძნობლად გაზარდა: ჰექტარზე გაანგარიშებით 700 ცენტნერი ჭარხალი მიიღო. როგორ მოიპოვა მან ასეთი წარმატება? ჯერ კიდევ შემოდგომაზე საგულდაგულოდ მოამზადა ნიადაგი, მზრალად მოხნა, შეიტანა ორგანული სასუქი, ხოლო ადრეულ გაზაფხულზე კვლავ მოხნა, აოშა და თესვის წინ მოაფრქვია მინერალური სასუქი. მცენარის აღმოცენებისთანავე შეუდგა მის დამუშავებას, ჩაატარა შაქრის ჭარხლის მწკრივების პირველი და მეორე გაფხვიერება, გამოხშირვა, მინერალური სასუქებით გამოკვება, წუნწუხით რწყვა და სხვ. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი საზრუნავი-ღა ჰქონდა: დროზე აეღო მოსავალი. ეს იმიტომ, რომ მინდვრად დარჩენილი შაქრის ჭარხალი ქარსა და მზეში არ გამოფიტულიყო, ჭარხალს შაქრიანობა არ დაკლებოდა.

წელს საქართველოს მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. კოლმეურნეები თავდადებით იბრძოდნენ, რათა შვიდწლედის მესამე წელი გამარჯვებებით აღენიშნათ. ჩვენი ადამიანები შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას. ამ საქმეში არც ვალია ჩამორჩენილა. წელს სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც ვალია ხელმძღვანელობს, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა. შემოდგომაზე ბრიგადამ სიმინდის, ხილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღო. შაქრის ჭარხლის ნათესებს 10 ჰექტარი ეჭირა, და თვითეულ ჰექტარზე ბრიგადამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ცენტნერისა 300 ცენტნერზე მეტი მოსავალი მიიღო. ენერგიულად შრომობდნენ მეჭარხლე ქალები თამარ ჭაბუკაშვილი, ქსენია მეტრეველი, ნუცა ყაზაშვილი და სხვები.

ვალია წელს 0,35 ჰექტარ ჭარხლის ნათესს უვლიდა, ჰექტარზე გაანგარიშებით მივიღებ არანაკლებ 1.000 ცენტნერ ჭარხალსო, — ამბობდა ის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაკისრ ვალდებულებას საგრძნობლად გადაამეტებდა. ვალია მეტრეველმა თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა.

დ. მურმანიშვილი,
ქარელი.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# ადამიანის მადა

მადა ადამიანის ცხოვრებაში არსებით როლს ასრულებს. აბა, რომელი დედა არ ზრუნავს იმაზე, რომ ბავშვი მადიანად ჭამდეს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ექიმი ავადმყოფს ყოველთვის ეკითხება როგორი მადა აქვს. მადასთანაა დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობა და კარგი გუნება.

რა არის მადა? მარტივად რომ ვთქვათ, მადა ეწოდება ადამიანის შეგრძნებას, რომელიც გამოწვეულია ჭამის სურვილით.

რით არის წარმოშობილი ასეთი სურვილი?

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ თუ ორგანიზმი საჭმელს დიდი ხნის განმავლობაში არ ღებულობს, მაშინ იცვლება მისი სისხლის შემადგენლობა, სისხლი „მშიერი" ხდება. საკმარისია ასეთი სისხლი შევიყვანოთ თუნდაც მაძღარი ცხოველის ორგანიზმში და მას მაშინვე მადა მოუვა. ამრიგად, განსაზღვრული შემადგენლობის სისხლს მადის მოყვანის თვისება აქვს.

თუ ადამიანი ჭამის სურვილს ვერ იკმაყოფილებს, მაშინ მადის მაგივრად მას შიმშილის გრძნობა უვითარდება.

ყველა ეს შეგრძნება — როგორც მადა ისე შიმშილი — დაკავშირებულია კუჭის მუშაობასთან.

ცნობილია, რომ იმ პროდუქტების მონელება, რომელსაც ადამიანი ჭამს, ხდება მომნელებელი წვენების მოქმედებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეგრეთწოდებულ მადის მომგვრელ წვენს. როგორც მრავალი ცდით დამტკიცდა, ასეთი წვენის გამოყოფა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანს საჭმლის სუნი სცემს.

სწორედ მადის მომგვრელი წვენი იწვევს პირველად კუჭში საჭმლის მონელებას და ამ დროს შექმნილი ნივთიერებანი შემდეგში იწვევენ სხვა წვენების გამოყოფას. თუ მადა არა გვაქვს, მაშინ საჭმელი კუჭში უსარგებლოდ დევს და მხოლოდ ამძიმებს მას.

ჩვეულებრივ პირობებში ჯანსაღ ადამიანს კარგი მადა აქვს. საჭმლის მონელების პროცესის ხანგრძლივი და გულმოდგინე შესწავლით დადგენილ იქნა ზოგიერთი კანონზომიერებანი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს კარგ მადას.

პირველ ყოვლისა ეს არის კვების რეჟიმი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმ საათებში, როდესაც ვსაუზმობთ, ვსადილობთ ან ვვახშმობთ, ყოველთვის თავს იჩენს ხოლმე ჭამის სურვილი. ორგანიზმი თითქოს შეწყობილია კვების განსაზღვრულ რიტმთან და ეს უზრუნველყოფს მადის მოსვლას საჭირო საათებში. სწორედ ამით აიხსნება, რომ ადამიანი, რომელიც დაბრუნდა სანატორიუმიდან, სადაც კვების მტკიცე რეჟიმი იყო, შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის სურვილს ჭამოს სანატორიუმში დაწესებულ საათებში. ეს კი იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ საათებში მის ორგანიზმში ხდება მადის მომგვრელი წვენის გამოყოფა, რაც მოაგონებს მას, რომ ჭამის დრო მოვიდა.

თავისთავად ცხადია, რომ კვების რეჟიმის დარღვევა და მოუწესრიგებელი ჭამა შემდეგში იწვევს სერიოზულ დარღვევებს ორგანიზმის მუშაობაში და ზოგჯერ მადის დაკარგვასაც.

აი, ვთქვათ შიმშილი გაწუხებთ და რაღაც ცოტა რამ სახელდახელოდ შეჭამეთ. ამ დროს ჭამის სურვილი ცოტა ხნით ძლიერდება და შემდეგ კი სრულებით ქრება. „მადა წავიხდინეო", — იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

ამ დროს მოძრაობაში მოდის შეკავების მექანიზმი, რომელიც თავის ტვინში იმყოფება. ამ მექანიზმის შეკავება ჩვეულებრივად ხდება ჭამის დასაწყისში, რომ დაიცვას კუჭი მეტისმეტი ავსებისაგან. მაგრამ ცოტაოდენი ჭამის დროს ამ მექანიზმის მოქმედება სრულიად უსარგებლოა, ვინაიდან კუჭი ფაქტიურად ცარიელია, მადა კი — დაკარგული.

ამის მსგავსი რამ ბავშვებსაც მოსდით, როდესაც ისინი სადილს არ უცდიან და თხოულობენ რაიმე გემრიელი აჭამონ. გულშემატკივარი დედაც ხშირად აკმაყოფილებს ბავშვის ასეთ სურვილს და შემდეგ უკვირს, რომ მას სადილად მადა აღარა აქვს.

ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ თავის დროზე ჭამა მადის შენარჩუნებისა და კარგი კვების პირველი საჭირო პირობაა, პირველი, მაგრამ არა ერთადერთი.

საჭმლის მომნელებელ წვენთა გამოყოფაზე ძალიან მოქმედებს აგრეთვე ფსიქოლოგიური ფაქტორი. ზოგჯერ ხომ საკმარისია წარმოვიდგინოთ გემრიელი საჭმელი და პირში უკვე ნერწყვი მოგვდის. კარგი დიასახლისი ტყუილუბრალოდ როდი ცდილობს ლამაზად გააწყოს მაგიდა. ესეც აგრეთვე აძლიერებს მადას.

დიდი ხნიდან შემოღებული წესით სუფრაზე ჯერ მოაქვთ მადის გამხსნელი ცივი კერძები, შემდეგ წვნიანი და ბოლოს მშრალი საჭმელი (შემწვარი, მოხარშული). საუზმე ჭამის სურვილს აძლიერებს და მუშაობაში მოჰყავს მადის მომგვრელი წვენის გამომყოფი აპარატი. წვნიანი საჭმელი კიდევ უფრო აძლიერებს საუზმის მოქმედებას და იწვევს საჭმლის მომნელებელი წვენის უფრო უხვად გამოყოფას, მშრალი საჭმელი კი, რომელიც სადილის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, კარგად შემზადებულ ნიადაგზე ხვდება და მას ორგანიზმიც კარგად ითვისებს.

როგორც ვხედავთ, ადამიანის მადა ძლიერ რთული შეგრძნებაა, რომელსაც მისი ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჭამისადმი სისტემატური უყურადღებობა ადრე თუ გვიან გარდუვალად გამოიწვევს მადის დაკარგვას და მასთან ერთად საჭმლის მომნელებელი მოქმედების დარღვევასაც.

ხოლო თუ კვლავ შემოვიღებთ ჭამის წესიერ რეჟიმს და დავიცავთ კვების ჰიგიენის ძირითად მოთხოვნილებებს, უმეტეს შემთხვევაში მადა ისევ თავისთავად აღსდგება; მაგრამ ზოგჯერ ისეც მოხდება, რომ ადამიანი ჭამის რეჟიმს იცავს, მაგრამ მადა აღარ მოდის. ასეთ შემთხვევაში უნდა მოვიშველიოთ სხვადასხვაგვარი საკაზმები და სანელებლები.

უნდა გვახსოვდეს, რომ კვების ცენტრის მოქმედებას აწესრიგებს სისხლის ქიმიური შემადგენლობა და ეს მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს შეგრძნებებთან. ზოგი შეგრძნება იწვევს ამ ცენტრის აღგზნებას, ზოგი კი შეკავებას. შეკავების მდგომარეობიდან მის გამოყვანას ხელს უწყობს გარეშე გამღიზიანებლები. ამ შემთხვევაში — ცხარე ნივთიერებანი. ამიტომ არის, რომ პირშუშხა, მდოგვი, წიწაკა და სხვა მსგავსი მწარე ნივთიერებანი, მართალია არ იწვევენ საჭმლის წვენის გამოყოფას, მაგრამ მაინც ხელს უწყობენ გემოვნებითი ნერვების მკვეთრ გაღიზიანებას.

ბავშვის მადის უქონლობა ან მისი დაქვეითება ხშირად გამოწვეულია სხვა მიზეზებითაც. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მუცლის ჭიები. ბავშვის მადის დაკარგვას სხვა მოვლენებიც იწვევენ, ამიტომ, როგორც მშობელი შეამჩნევს, რომ ბავშვმა მადა დაკარგა, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს.

დაკარგული მადის აღდგენას ხელს უწ-

ყობს აგრეთვე მჟავე საჭმლის მიღება. კერძოდ, მჟავე ბოსტნეული, მჟავე ხილი, ბურახი, ძმრიანი კერძები და სხვა. მჟავე საჭმელი მწარე საჭმლის მსგავსად როდი მოქმედობს. აქ ადგილი აქვს სულ სხვა მოვლენებს: სიმჟავის გავლენით ღიზიანდება კუჭქვეშა ჯირკვალი, რომელიც გამოყოფს საჭმლის მომნელებელ წვენს. ამ დროს მისი გამოყოფა ისეთი დიდი რაოდენობით ხდება, რომ ის სრულიად საკმარისია საჭმლის ნორმალური მონელებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ კუჭი სხვა წვენს არ გამოყოფს.

ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხური ანდაზა: „მადა ჭამაში მოდისო“. ჭამა რომ არ გვინდოდეს, დაწესებულ დროს მაინც უნდა მივიღოთ საკვები. ეს აუცილებელი პირობაა საჭმლის მომნელებელი სისტემის კარგი მუშაობისათვის და, საერთოდ, ჯანმრთელობისათვის.

ექიმი-პედიატრი **ა. ილურიძე**

# რძე და რძის პროდუქტები

რძესა და რძის პროდუქტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის კვებაში, განსაკუთრებით კი ბავშვთა და დიეტურ კვებაში. რძის პროდუქტები — მაწონი, ხაჭო და კეფირი შესანიშნავად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რა სასარგებლოც არ უნდა იყოს ესა თუ ის პროდუქტი, მას მაინც არ შეუძლია ყველაფერი შეცვალოს.

რძე შეიცავს ცილებს, ცხიმს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებსა და ვიტამინებს. კვების რაციონი, რომლის შემადგენლობაშიც მეტი რაოდენობით შედის რძის პროდუქტები და ამასთან ბოსტნეული, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ის რაციონი, რომელიც უმეტესად ფქვილის ნაწარმისა და ხორცეულისგან შედგება. **უმი რძე** ერთერთ ყველაზე სასარგებლო პროდუქტად ითვლება, რადგან მასში მთლიანადაა შენარჩუნებული მაღალი საკვები თვისებები.




მაგრამ უმი რძე შეიცავს აუარებელ მიკროორგანიზმებს. ზოგი მათგანი სასარგებლოა, ბევრი კი მავნე და საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ისინი იწვევენ ისეთ სერიოზულ დაავადებებს, როგორიცაა: ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, მუცლის ტიფი, დიფტერია და სხვა.

ჩვენი სარძეო მრეწველობა გასაყიდად უშვებს უმ რძეს (რომლის ადუღება აუცილებელია) და პასტერიზებულ რძეს (ბოთლებში რომ იყიდება, მისი გამოყენება აუდუღრადაც შეიძლება).

მაგრამ თუ რძეს კერძოდ, ბაზარზე ვყიდულობთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი უმად მიღება. ადუღება იცავს რძეს დამჟავებისაგან და ანადგურებს მავნე ბაქტერიებს (თუმცა მთლიანად არა!).

**ნაღები** რძის ცხიმისაგან წარმოიშობა, რომელიც უწვრილეს ბურთულებად ამოტივტივდება რძის ზედაპირზე, თუ კი რძეს ხანგრძლივად გავაჩერებთ აუდუღრად. ამ ცხიმს ადვილად და მთლიანად ითვისებს ორგანიზმი და ამის წყალობით, ნაღებს მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია. ნაღებს აქვს შესანიშნავი რბილი გემო და ძვირფასი კულინარული თვისებები.

ნაღებს ხმარობენ სხვადასხვა საჭმელთან — პირველ და მეორე თავ კერძებთან, საწებლებთან, ნამცხვრებთან. ხშირად ტკბილ ნამცხვარში და საკონდიტრო ნაწარმში უმატებენ ათქვეფილ ნაღებს. ათქვეფილ ნაღებს განსაკუთრებული ნაზი გემო აქვს.

ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მშრალი რძე და რძის კონსერვები: შაქრიანი და შესქელებული რძე, სტერილური შესქელებული რძე უშაქროდ, შესქელებული ნაღები, ყავა შესქელებული რძით და სხვა.

**არაჟანი** ყველაზე გავრცელებული და ნოყიერი საკმაზია სუპების, მეორე თავი კერძებისა და ტკბილეულისათვის. მას ხმარობენ საწებლის შესამზადებლად, სხვადასხვაგვარი სალათის შესანელებლად და ცალკეც — საუზმესა და ვახშამზე. არაჟანი შედის ძალიან ბევრ ფქვილეულ და საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტურაში.

მაღაზიაში იყიდება კეთილხარისხოვანი არაჟანი, რომელიც არ შეიცავს არავითარ შენარევებს. ეს არაჟანი თავისი ცხიმოვნების მიხედვით სხვადასხვა ხარისხისაა. ბაზარზე ნაყიდი არაჟანი არ შეიძლება შეიცავდეს რაიმე მავნე შენარევს, რადგან მის კეთილხარისხოვნებას ბაზრის სანიტარული კომისია ამოწმებს. მაგრამ შეიძლება არაჟანში შერეული იყოს მაწონში გალესილი ხაჭო. უმ არაჟანს არ ეტყობა, თუ ის ამ ნარევს შეიცავს. თუმცა ზოგი დიასახლისი ირწმუნება, რომ სუფთა არაჟანი თითებშუა მთლიანად ისრისება, ხოლო თუ ხაჭოგარეულ არაჟანს გავსრისავთ, თითებზე მაინც დარჩება წვრილი ხოშოშები. ცხელ ბორშჩში კი არაჟანი, რომელიც მაწონსა და ხაჭოს შეიცავს, აიჭრება.

**ხაჭო** მდიდარია სრულფასოვანი ცილებითა და მინერალური ნივთიერებებით. ექიმი-დიეტოლოგები ხშირად უნიშნავენ ხაჭოს ბავშვებსა და უფროსებსაც, ჯანმრთელებსაც და ავადმყოფებსაც.

კეთილხარისხოვანი და ახალი ხაჭო უნდა



იყოს **ერთგვაროვანი**, ნაზი და ფენოვანი (და არა ფხვიერი!) მასა.

მაღაზიაში სხვადასხვა ცხიმოვნების ხაჭო იყიდება. კარგი ცხიმოვნების ხაჭო ცალკეც იჭმევა — შაქრით, რძითა და არაჟნით. ნაკლებცხიმიანი და მთლად უცხიმო ხაჭო კი გამოიყენება როგორც სატენი მასალა ცომეულის ნაწარმსა და პუდინგებში. ცხიმიან ხაჭოს კრემის ფერი აქვს, უცხიმოს — თეთრი.

**მაწონი** უძვირფასეს პროდუქტს წარმოადგენს. ყველასათვის ცნობილია რა შესანიშნავად მოქმედებს მაწონი კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. ექიმ-დიეტოლეგებს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საავადმყოფოების მენიუში მაწონი ყოველდღიურ რაციონში შეაქვთ. 1 ჭიქა მაწონი ვახშმის მაგივრობას გაუწევს იმას, ვისაც წონაში მომატება არ სურს.

ფართო ხმარებაშია აგრეთვე **კეფირი** და **აციდოფილინი**, განსაკუთრებით — დიეტურ და ბავშვთა კვებაში.

აციდოფილინს პასტერიზებული რძისგან ამზადებენ ე. წ. აციდოფილური ჩხირის ბაქტერიით, ხოლო კეფირს ე. წ. კეფირის სოკოთი.

ამ პროდუქტების არჩევისას ძალიან სასარგებლოა ექიმის კონსულტაცია. განსაკუთრებით კეფირის არჩევისას, რადგან კეფირი, თავისი დუღილის ხანგრძლივობისა და მომწიფების მიხედვით, არის სამი სახისა: სუსტი (ერთდღიანი), საშუალო (ორდღიანი) და მაგარი (სამდღიანი) და ყველა ამათგანს სხვადასხვა დანიშნულებით აძლევენ.

**ყველი** ძვირფასი საკვებია როგორც თავისი შემადგენლობით, ისე საგემოვნო თვისებებით, მას ადვილად ითვისებს ორგანიზმი. ყველი, როგორც საუზმე, თითქმის მუდამ არის ქართულ სუფრაზე. დილითაც, სადილადაც და ვახშმადაც. ერთიდაიგივე რძისაგან შეიძლება მომზადდეს სრულიად სხვადასხვა სახის ყველი. საქართველოში, საერთაშორისოდ ცნობილ ყველის სახეობების გარდა, გვხვდება ადგილობრივიც: იმერული, სულგუნი, მოთალი, ოსური, თუშური, კობისა და სხვა.



# რჩევა დიასახლისებს

ობი თეთრეულს შემდეგნაირად შეიძლება მოაცილოთ: ლაქიანი ადგილი დაასველეთ ლიმონის წვენისა და წყლის ნაზავით (ერთი მესამედი ლიმონის წვენი და ორი მესამედი წყალი), მერე დააყარეთ წვრილად დაფქვილი მარილი, გააშრეთ და შემდეგ გარეცხეთ.

თუ გსურთ ნავთქურამ და ლამპამ არ იბოლოს, ახალი პატრუქი წინასწარ დაასველეთ ძმარში, გააშრეთ და ისე გაუკეთეთ.

შედედებული მელანი ისევ კეთილხარისხოვანი გახდება, თუ სამელნეში ჩაასხამთ რამდენიმე წვეთ ძმარს.

თუ გსურთ აბრეშუმის ტანსაცმელმა პირვანდელი პეწი შეინარჩუნოს, მისი გარეცხვის დროს წყალს ჩაუმატეთ 1-2 კოვზი ძმარი.

ლობიო უფრო სასარგებლო და გემრიელი იქნება თუ წყალს, რომელშიც მას ხარშავთ, გადაღვრით პირველი წამოდუღებისთანავე, ხელახლა დაასხამთ ცივ წყალს, დაუმატებთ 3 კოვზ მცენარეულ ზეთს და ისე მოხარშავთ.

სტაფილო და ხახვი მოხრაკვის დროს კარგად შეწითლდება თუ მას დაუმატებთ ცოტა შაქრის ფხვნილს.

თუ წვენი გადაგიმლაშდათ, რამდენიმე წამით მასში ჩადეთ ნატეხი შაქარი, იგი შთანთქავს ზედმეტ მარილს.

საფხეკელა კვლავ ბასრი გახდება, თუ მას გახეხავთ ზუმფარას ქაღალდით.

თუ გსურთ მოხარშულ ჭარხალს კანი ადვილად მოსცილდეს, იგი მდუღარე წყლიდან ამოღებისთანავე ამოავლეთ ცივ წყალში.

უთოს ფსკერი კარგად გაპრიალდება თუ სუფთა ქაღალდზე (მხოლოდ არა გაზეთზე) დააყრით ერთ მუჭა წვრილად დაფქვილ მარილს და მასზე რამდენჯერმე გაატარებთ უთოს.

აბაზანა რეგულარულად უნდა გარეცხოთ სოდაშერეული საოჯახო საპნის ხსნარით.

კარაქი მოხრაკვის დროს არ გაშავდება, თუ გახურებულ ტაფას წინასწარ წაუსვამთ მცენარეულ ზეთს.

ბოსტნეული გაწმინდეთ უჟანგავი ფოლადის დანით, რადგან რკინის შეხებით C ვიტამინი, რასაც ბოსტნეული შეიცავს, იშლება. თუ ბოსტნეულს წინა საღამოს იმარაგებთ, ჯერ იგი უნდა გაწმინდოთ, შემდეგ დააფაროთ წყალში დასველებული სუფთა ჩვარი და ისე შეინახოთ. ბოსტნეული მხოლოდ კერძის მომზადების წინ უნდა გაირეცხოს და დაიჭრას.

თუ გსურთ ხარშვის დროს კარტოფილის კანი არ გასკდეს, წყალს, რომელშიც მას ხარშავთ, დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ძმარი.

მოხარშული კარტოფილი უფრო გემრიელი გამოვა, თუ ქვაბში, რომელშიც ის იხარშება, ჩადებთ დოლბანდის ნაჭერში გახვეულ ცოტა გამხმარ კამას.

თუ გსურთ ოხრახუში არომატული იყოს, იგი ამოავლეთ თბილ წყალში.

ქილაში ფენად ჩააწყვეთ ვარდის, შროშანის ან სხვა სურნელოვანი ყვავილის ფურცლები, თავზე მოაყარეთ სუფთად დაფქვილი მარილი, კვლავ ჩააწყვეთ ფურცლების ფენა და ისევ მოაყარეთ მარილი და ასე ბოლომდე, ვიდრე ქილა არ გაივსება, შემდეგ თავზე დაასხით 3-4 კოვზი სპირტი ან არაყი, დახურეთ გერმეტულად და შეინახეთ. ყოველთვის, როცა მოგესურვებათ ოთახში სასიამოვნო სუნი დადგეს, რამდენიმე წუთით ქილას მოხადეთ სახურავი.

**უტექსტო ხუმრობა**



მხატვარი ა. ერაძე

გარეკანის პირველ გვერდზე—ე თ ე რ ს ო ლ ო მ ო ნ ი ა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი. იგი ამჟამად 1963 წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—მანდარინის კრეფა. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნე ე ს ი რ ე ბ ა ჯ ე ლ ი ძ ე.

ფოტო დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს


რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თაყაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექ. რედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.

შეკვეთის № 1934 უე 03328

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.

Издательство ЦК КП Грузии.



ანჟელინა ცქიტიშვილი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის «საბჭოთა საქართველოს» მოწინავე მუშაა. იგი კომბინატის სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანიცაა და დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფოტო მ. სუსუნიკაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 37/9

ეროვნული ბიბლიოთეკა

